

ფრენსის ბეკონი

**ახალი
ატლანტიდა**

ქართულად თარგმნა
გიორგი ხუროშვილმა

თბილისი
2016

UDC (უაკ) 1+316
ფ-562

**გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა
კვლევითი ინსტიტუტი**

სამეცნიერო სერია
ფილოსოფია-სოციოლოგიის კლასიკური და
თანამედროვე ტექსტები

- თარგმანები -
ტომი 5

სერიის დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
თენგიზ ირემაძე

სარედაქციო კოლეგია:

გიორგი ბარამიძე

† ბაჩანა ბრეგვაძე

დევი დუმბაძე

ლალი ზაქარაძე

გიორგი თავაძე

გურამ თევზაძე

დოდო ლაბუჩიძე-ხოფერია

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა
კვლევითი ინსტიტუტი, 2016

ყველა უფლება დაცულია
პირველი ქართული გამოცემა, 2016

ISSN 1987-9660

ISBN 978-9941-457-51-7

გამომცემლობა „ნეკერი“, 2016

სარჩევი

ფრენსის ბეკონი ახალი ატლანტიდა	7
გიორგი ხუროშვილი ფრენსის ბეკონის „ახალი ატლანტიდა“-ს გაგებისათვის	87
პირთა საძიებელი	92

ფრენსის ბეკონი

ახალი ატლანტიდა

პერუდან, სადაც მთელი ერთი წელი დაეყავით, გავცურეთ სამხრეთის ზღვაში,* ჩინეთისა და იაპონიის მიმართულებით, თან მიგვექონდა თორმეტი თვის სამყოფი მარაგი. ხუთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში სუსტი და რბილი აღმოსავლეთის ქარი ჰქროდა. მაგრამ მოგვიანებით ქარმა მიმართულება შეიცვალა და მრავალი დღის მანძილზე უკვე დასავლეთიდან ჰქროდა, თანაც ისე ძლიერად, რომ წინ თითქმის ვეღარ მივიწევდით და დროდადრო უკან გამობრუნებაზეც კი ვფიქრობდით. თუმცა, შემდეგ, სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან ძლიერი ქარი ამოვარდა; ჩვენი ძალისხმევა ამოუგამოდგა, ქარმა ჩრდილოეთისაკენ წაგვიღო. ამ დროისათვის ჩვენი მარაგები იწურებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ზომიერად ვანაწილებდით. ამრიგად, როდესაც მივხვდით, რომ მარაგების გარეშე, მსოფლიოში უდიდესი წყლის უდაბნოს შუაგულში აღმოვჩნდით, ჩვენი თავი განწირულად ჩავთვალეთ და სიკვდილთან შესახვედრად მოვემზადეთ. თუმცა ჩვენი გული და ლოცვები ზეცაში მყოფი ღმერთისკენ იყო მიმართული, რომელიც სასწაულებს ახდენს წყალზე; შევსთხოვდით მას, მოელო მოწყალება

* **სამხრეთის ზღვაში** - იგულისხმება წყნარი ოკეანე (მთარგმ. შენიშვნა).

და როგორც თავდაპირველად შეაერთა წყლები და გამოაჩინა ხმელეთი, ისე ჩვენთვისაც გამოეჩინა მინა, რათა არ დაველუპულიყავით.

მეორე დღეს, საღამო ხანს, ჩრდილოეთით, სქელი ღრუბლების მსგავსი რამ შევნიშნეთ, რამაც მინის პოვნის მცირე იმედი გაგვიჩინა, რადგან ვიცოდით, რომ სამხრეთის ზღვის ეს ნაწილი შეუსწავლელი იყო და რომ იქ, შესაძლოა, აქამდე უცნობი კუნძულები ან კონტინენტები ყოფილიყო. ამიტომაც, ჩვენი კურსი იქითკენ მიემართეთ, საიდანაც, მთელი ღამის განმავლობაში, ეს მინის მსგავსება მოსჩანდა. მომდევნო დღეს, გამთენიისას, ცხადად დავინახეთ, რომ ეს მართლაც მინა იყო, მოსწორებული და ტყით დაბურული, რის გამოც ის კიდევ უფრო ბნელი გვეჩვენა. საათნახევრიანი ცურვის შემდეგ კარგ ნავსადგურში შევედით, რომელიც მშვენიერი ქალაქის პორტი იყო. მართალია, ქალაქი დიდი არ იყო, მაგრამ კარგად იყო ნაგები და ზღვიდან საუცხოოდ გამოიყურებოდა. რამდენადაც ყოველი ნუთი გვეძვირფასებოდა, როგორც კი ნაპირს მივუახლოვდით, გადმოსასხდომად მოვემზადეთ. ამ დროს, ჩვენს პირდაპირ, რამდენიმე კვერთხით შეიარაღებული ადამიანი დავლანდეთ, რომლებიც თითქოს გადმოსხდომას გვიკრძალავდნენ: არა ყვირილით ან მუქარით, არამედ გამაფრთხილებელი ნიშნების მეშვეობით. ამან ერთობ დაგვაღონა, ვმსჯელობდით, თუ როგორ

მოექცეულიყავით. ამასობაში ჩვენსკენ მცირე ზომის ნავი გამოემართა. მასში დაახლოებით რვა კაცი ისხდა. ერთ მათგანს ყვითელი ლერწმის ხელჯოხი ეკავა, რომელიც ბოლოებში ლურჯად იყო შეფერილი. იგი ჩვენს გემზე ისე ამოვიდა, რომ ჩვენდამი უნდობლობა არც კი გამოუმჟღავნებია. როგორც კი დაინახა, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი დანარჩენებზე წინ იდგა, ამოიღო მცირე ზომის დაგრაგნილი ეტრატი (ჩვენებურზე უფრო ყვითელი, სანური მაგიდის საგდულებივით ბრჭყვიალა, მაგრამ რბილი და მოსახერხებელი) და დანინაურებულ ჩვენიანს გადასცა. გრაგნილში ძველი ებრაულით, ძველი ბერძნულით, კარგი სკოლური ლათინური^{*} და ესპანური შემდეგი სიტყვები ეწერა: „დაე, ნურცერთი გადმოსხდებით მინაზე და მზად იყავით, რომ არაუგვიანეს თექვსმეტი დღისა დატოვოთ ეს სანაპირო, თუკი დარჩენის ვადას არ გაგიხანგრძლივებენ; ხოლო მანამდე, თუკი სუფთა წყალი, სანოვაგე, სნეულთა მოვლა, ან გემის შეკეთება გესაჭიროებათ, ჩამონერეთ, რაც გჭირდებათ და გინყალობებთ ყოველივეს, რისი წყალობაც შეგვიძლია.“ გრაგნილზე ქერუბიმის ფრთებიანი ბეჭედი იყო დასმული, ფრთები მალლა როდი იყო აპყრობილი, არამედ ძირს იყო დაშვებული, გვერდით კი ჯვარი ესვა. გრაგნილი რომ გადმოგვცა, მოხელე უკან

* კარგი სკოლური ლათინური - იგულისხმება საუნივერსიტეტო ლათინური (მთარგმ. შენიშენა).

გაბრუნდა და მხოლოდ მსახური დაგვიტოვა, რომლისათვისაც ჩვენი პასუხი უნდა გვემცნო. ერთმანეთში ვითათბურეთ, საკმაოდ დაბნეულები ვიყავით. გადმოსხდომის აკრძალვამ და გამგზავრების დაჩქარების შესახებ გაფრთხილებამ ძლიერ შეგვაშფოთა. მეორე მხრივ კი, იმის აღმოჩენამ, რომ აქაური ხალხი ენებს ფლობს და ესოდენ კაცთმოყვარეა, ერთობ დაგვამშვიდა. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, იმან გაგვახარა, რომ ბექედზე ჯვარი იყო გამოსახული, როგორც სიკეთის უტყუარი მომასწავებელი. ესპანურად დაწერეთ ჩვენი პასუხი, „რომ გემი გამართული იყო, რადგან გზა დიდნილად უქარო ან პირქარიანი იყო და ქარიშხლებს არ შეეგვედრევიართ; რომ სნეულები მრავლად გვყავდა, თანაც საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში; ამდენად, გადმოსხდომის აკრძალვა მათ სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდა.“ ცალკე აღვნიშნეთ ჩვენი სხვა საჭიროებებიც და იქვე დავძინეთ, „რომ თან გვექონდა გარკვეული საქონელი, თუკი ისინი მის შესყიდვას მოისურვებდნენ. ამით ჩვენს საჭიროებებს უზრუნველყოფდით და მათგან დავალებულნი არ ვიქნებოდით.“ მსახურს შევთავაზეთ გარკვეული ჯილდო პისტოლების*

* **პისტოლი** — ესპანური ფულის ერთეული, რომელიც 1537 წლიდან იჭრებოდა. მოგვიანებით ის ევროპის სხვადასხვა ქვეყნებშიც გავრცელდა (მთარგმ. შენიშვნა).

სახით, ხოლო მოხელისათვის კი მენამული ფერის ხავერდის ნაჭერს ვატანდით; თუმცა, მსახურმა საჩუქრები არ აიღო, ისე დაგვტოვა, რომ მათთვის ჯეროვნადაც კი არ შეუხედავს და მისთვის გამოგზავნილი პატარა ნავით უკან გაბრუნდა.

ჩვენი პასუხის გაგზავნიდან დაახლოებით სამ სათში, ჩვენიან მოვიდა იქაური (სავარაუდოდ) ნარჩინებული პირი. მას ეცვა ერთგვარი კამლოტის* ფართო სახელოებიანი მოსასხამი, ლაჟვარდოვნად შეფერილი, ჩვენებურზე უფრო კაშკაშა; მისი ქვედაბოლო მწვანე ფერისა იყო, ისევე როგორც მისი ქუდი, რომელიც ფორმით ჩალმას ნააგავდა. ის გემოვნებით იყო გაკეთებული, მაგრამ თურქული ჩალმასავით დიდი არ იყო; ქუდის ფარფლებიდან მისი თმები კულულებად ჩამოშლილიყო. პატივდებული კაცი უნდა ყოფილიყო. იგი მოვიდა ნავით, რომლის ცალკეული ნაწილებიც მოვარაყებულნი იყო, მასში კიდევ ოთხნი ისხდნენ. ამ ნავს მოჰყვებოდა მეორე ნავი, სადაც ოცამდე კაცი იჯდა. როდესაც საისრე მანძილზე მოგვიახლოვდნენ, ნიშნებით გვამცნეს, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი მასთან შესახვედრად გასულიყო. ჩვენ ეს მითითება დაუყოვნებლივ შევასრულეთ და გავაგზავნეთ ნავი, რომელშიც ჩვენი რიგით მეორე მეთაური და ოთხი ჩვენიანი ისხდა.

* **კამლოტი** — ძველბურთი მკვრივი შალის ქსოვილი (მთარგმ. შენიშვნა).

როდესაც მათ ნავს ექესი იარდის მანძილზე მი-
ვუახლოვდით, გვითხრეს, რომ შეეჩერებული-
ყავით და სვლა ალარ გაგვეგრძელებინა, ასეც
მოვიქცით.

ამ დროს, ჩემს მიერ ზემოაღწერილი კაცი
წამოდგა და ხმამაღლა, ესპანურად გვკითხა:
„ქრისტიანები ხართ?“ „დიახ, ვართ“ – უშიშ-
რად ვუპასუხეთ ჩვენ, რადგან გვახსოვდა
მათ ბეჭედზე გამოსახული ჯვარი. ამ პასუხის
გაგონებაზე ამ კაცმა მარჯვენა ხელი ცისკენ
აღმართა, შემდეგ კი ნაზად მიიდო ტუჩებზე (ამ
ჟესტს ისინი ღმერთის სამადლობლად იყენე-
ბენ) და გვითხრა: „თუკი ყოველი თქვენგანი,
ჩვენი მხსნელის საქმეებს დაიფიცებს, რომ არ
ხართ მეკობრეები, რომ ორმოცი დღის მან-
ძილზე, არც კანონიერად და არც უკანონოდ,
სისხლი არ დაგიღვრიათ,* მაშინ გეძლევათ
უფლება მინაზე გადმოსხდომისა.“ ჩვენ ვუპა-
სუხეთ, „რომ ყოველი ჩვენგანი მზად იყო ამ
ფიცის დასადებად.“ ამის შემდეგ, მისმა ერთ-
ერთმა თანმხლებმა (სავარაუდოდ მნიგო-
ბარმა) ფიცის ტექსტი დაწერა, წარჩინებულის
მეორე თანმხლებმა კი, რომელიც ნავში მას-
თან ერთად იმყოფებოდა, თავის ბატონთან
მცირედი საუბრის შემდეგ ხმამაღლა გვითხრა:

* ორმოცი დღის მანძილზე, არც კანონიერად და არც
უკანონოდ, სისხლი არ დაგიღვრიათ – ამ ბიბლიური
წესის შესახებ იხ. გამ. 20:13; 21:12-14; რიცხ. 35:9-
34; რჯლ. 5:17 (მთარგმ. შენიშვნა).

„ჩემი ბატონი გაუწყებთ, რომ თქვენს ხომალ-
დზე ამოუსვლელიობის მიზეზი სიამაყე ან ქედ-
მაღლობა როდია, არამედ ის, რომ თქვენს პა-
სუხში გვამცნეთ სნეულები მრავლად გვყავსო
და, ამდენად, ქალაქის ჯანდაცვის მეურვემ იგი
გააფრთხილა, თქვენთან არ მოახლოებული-
ყო.“ ჩვენ მას თავი დაუვუკარიტ და ვუპასუხეთ,
რომ „მისი ერთგული მსახურნი ვართ და ყოვე-
ლივე, რაც ჩვენთვის უკვე გააკეთეს, მათ დიდ
ღირსებასა და გამორჩეულ კაცთმოყვარეობაზე
მეტყველებს; გამოვთქვით იმედიც, რომ ჩვე-
ნიანების დაავადება გადამდები არ იქნებოდა.“

ამგვარად, ისინი გაბრუნდნენ. მცირეოდენი
ხნის შემდეგ კი ჩვენს ხომალდზე მნიგობარი
ამოვიდა, ხელში იქაური ხილი ეჭირა, რომელიც
ფორთოხალს წააგავდა. ის ოქროსფერიდან
ალისფერში გადადიოდა და საოცარ სურნელს
აფრქვევდა. მოგვეჩვენა, რომ იგი მას ინფექ-
ციისაგან თავის დასაცავად იყენებდა. მან გად-
მოგვცა ჩვენი ფიცი, „იესოს და მისი საქმეების
სახელით“, და გვაუწყა, რომ მომდევნო დღეს,
დღიის ექესი საათისათვის, მოვიდოდნენ ჩვენს
წასაყვანად და მიგვიყვანდნენ უცხოელთა
სახლში (როგორც იგი მას უწოდებდა), სადაც
ჩვენ, როგორც ჯანმრთელები ისე სნეულები,
ყველაფრით უზრუნველყოფილი ვიქნებოდით.
ამ სიტყვებით მან დაგვტოვა; ხოლო, როდესაც
რამდენიმე პისტოლი შევთავაზეთ, ღიმილით
გვითხრა, რომ „ერთი საქმისათვის ორგზის არ

უნდა უნაზღაურებდნენ": რაც (როგორც მე ვხვდები) იმას უნდა ნიშნავდეს, რომ იგი თავისი სამსახურისათვის სახელმწიფოსაგან საკმარის გასამრჯელოს იღებდა. რამდენადაც (როგორც შემდეგ შევიტყვე) ისინი ორგზის ანაზღაურებულს უწოდებენ იმ მოხელეს, რომელიც საჩუქრებს იღებს.

მეორე დღეს, დილაუთენია, ის ხელჯოხიანი მოხელე მოვიდა, რომელსაც თავდაპირველად შევხვდით და გვითხრა, რომ იგი უცხოელთა სახლში ჩვენს წასაყვანად არის მოსული, ადრიანად კი იმიტომ მოსულა, რომ ჩვენი საქმეების მოსაგვარებლად მთელი დღე წინ გვქონოდა. „რადგან“, – განაგრძო მან, – „თუ ჩემს რჩევას დაუჯერებთ, აჯობებს, თუკი თავდაპირველად რამდენიმე თქვენიანი გამოწყვება და მოინახულებს იმ ადგილს, რათა თქვენთვის უფრო მოსახერხებლად მოეწყოს ის, ხოლო შემდგომ ხმელეთზე გადმოიყვანთ სნეულებს და იმ დანარჩენებსაც, რომელთა გადმოყვანაც გსურთ. ჩვენ მადლობა გადაეუხადეთ მას და ვუთხარით, „რომ მიუსაფარ უცხოელებზე ზრუნვისათვის ღმერთი დააჯილდოვებდა“. ამგვარად, ექვსი ჩვენგანი, მასთან ერთად, ხმელეთისაკენ გავეშურეთ. როდესაც მიწაზე გადმოვსხედით, იგი წინ გაგვიძღვა, ერთ მომენტში კი მოტრიალდა და გვითხრა, რომ „მიგველო იგი, როგორც ჩვენი მსახური და მეგზური“. მან სამ შესანიშნავ ქუჩაზე გაგვატარა; ჩვენი მსვლ-

ელობის განმავლობაში, ქუჩის ორივე მხარეს, გარკვეული რაოდენობის ხალხი ჩამწკრივებულიყო; ეს მწკრივი ერთობ მოწესრიგებული იყო და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს ეს ხალხი ჩვენს სამზურად კი არ შეკრებილიყო, არამედ ჩვენთან შესაგებებლად; ზოგიერთი მათგანი, ჩვენი მიახლოებისას, მცირედით წინ იშვერდა ხელებს, რაც მათში მისალმების უცხტია.

უცხოელთა სახლი კარგად გამართული და ფართო შენობაა, აგურით ნაგები. ჩვენი-ბური აგურისაგან განსხვავებით, მას უფრო მოლურჯო ფერი დაჰკრავდა; სახლს კოხტა ფანჯრები ამშვენებდა, რომელთაგანაც ზოგი შემინული იყო, ზოგი კი ერთგვარი შეზეთილი ბატისტი იყო დაფარული. თავდაპირველად მან კიბის თავში მდებარე მშვენიერ მისალმებში შეგვიყვანა და გვკითხა, თუ „რამდენი ვიყავით? და რამდენი იყო ჩვენს შორის სნეული?“ ჩვენ ვუპასუხეთ, რომ „სულ (სნეულიც და ჯანმრთელიც) ორმოცდათერთმეტ კაცს ვითვლიდით, რომელთაგანაც ჩვიდმეტი სნეული იყო“. მან გვთხოვა, მცირე ხანს მოგვეცადა და მის დაბრუნებას დავლოდებოდით. დაახლოებით ერთი საათი ვიცადეთ, რის შემდეგაც მან ჩვენთვის განკუთვნილი ოთახებისაკენ წაგვიყვანა, რომელთა რაოდენობა ცხრამეტს შეადგენდა. მათ წინასწარ გაეთვალათ, რომ იმ ოთხ ოთახში, რომელიც დანარჩენებზე უკეთესი

იყო, ცალ-ცალკე მოეთავსებინათ ჩვენი ჯგუფის ოთხი მეთაური; ხოლო დანარჩენ თხუთმეტში კი, წყვილ-წყვილად ჩვენ დავებინავებინეთ. ოთახები იყო კარგი, ნათელი და ნატიფად განწყობილი. შემდეგ იგი გრძელი დარბაზისაკენ გაგვიძღვა, რომელიც საერთო საძინებელს ჰგავდა, აქ, მწკრივში, ერთ მხარეს (რადგან მეორე მხარეს მხოლოდ კედელი და ფანჯარა იყო) ჩვიდმეტი საძინებელი იყო განთავსებული. თითოეული მათგანი საკმაოდ სუფთად გამოიყურებოდა და კედრის ხის ტიხრებით იყო გამოყოფილი. ამ დარბაზში სულ ორმოცამდე მსგავსი საძინებელი იყო (ე.ი. უფრო მეტი, ვიდრე გვჭირდებოდა) და აქ ლაზარეთი ჰქონდათ მოწყობილი. მან იქვე გვითხრა, რომ როდესაც სნეულები გამოჯანმრთელდებოდნენ, მათ ამ საძინებლებიდან ოთახებში გადაიყვანდნენ. ამისათვის (ზემოაღნიშნული რაოდენობის გარდა) დამატებით ათი ოთახი ჰქონდათ მომზადებული.

ამ საუბრის შემდეგ ისევ სასტუმრო ოთახში დავბრუნდით. ჩვენმა მეგზურმა ოდნავ აღმართა თავისი ხელჯოხი (ისინი ასე იქცევიან, როდესაც რაიმე განკარგულებას ან ბრძანებას გასცემენ) და გვითხრა: „უნდა იცოდეთ, რომ ჩვენი მიწის ჩვეულების თანახმად, დღევანდელი და ხვალინდელი დღის გარდა (რომელიც თქვენიანების გემიდან გადმოყვანისათვის გეძლევათ), გეკრძალებათ სახლის დატოვება სამი

დღის მანძილზე. მაგრამ, ეს ნუ შეგაშფოთებთ და ნურც შეზღუდულად იგრძნობთ თავს, ვინაიდან ეს დღეები თქვენი მოსვენებისა და დამშვიდებისთვისაა განკუთვნილი. ამ დროის მანძილზე არაფერი მოგაკლდებათ; მოგამაგრებთ ექვს ჩვენიანს, რომლებიც დაგეხმარებიან, თუკი გარეთ რაიმე საქმე გექნებათ.“ ჩვენ მთელი გულით და მოწინებთ მას მადლობა გადავუხადეთ და ვუთხარით, რომ „ამ მიწაზე ჭეშმარიტად სუფევს ღმერთი“; ასევე, ოციოდე პისტოლიც შევთავაზეთ; თუმცა, მან ღიმილით თქვა: „როგორ? ორგზის საზღაური!“ და დაგვტოვა. მისი წასვლიდან მალევე სადილიც გაგვიწყეს; მშვენიერი სანოვაგე იყო, კარგი პური და ხორცი: უკეთესი, ვიდრე ნებისმიერი სუფრის საკვები, რომელიც კი ევროპაში მიწახავს. მოგვიტანეს სამი სახეობის სასმელიც: ყურძნის ღვინო, ხორბლის სასმელი, რომელიც ჩვენებურ ლუდს ჰგავდა, მაგრამ, უფრო დანმენდილი იყო და ერთგვარი სიდრი, რომელსაც იქაური ხილისაგან ამზადებდნენ, დასალევად კი ერთობ სასიამოვნო და გამაგრილებელი იყო. გარდა ამისა, ჩვენი სნეულებისთვის ბლომად მოიტანეს ზემოაღნიშნული ალისფერი ფორთოხალი, რომელიც (მათი თქმით) ზღვის დაავადებათა წინააღმდეგ უებარი საშუალება იყო. მათ, ასევე, ყუთით მოგვცეს მომცრო, ნაცრისფერი თუ მოთეთრო აბები, რომლებიც ჩვენს სნეულებს ყოველ ღამე, ძილის წინ უნდა

მიეღოთ, რაც (მათი თქმით) სწეულთა გამო-
ჯანმრთელებას დააჩქარებდა.

მომდევნო დღეს, როდესაც გემიდან ჩვენი
ჯგუფის წევრების გადმოსხდომის და საქონ-
ლის ჩამოტვირთვის საკითხები ასე თუ ისე
მოგვარდა, ვიფიქრე, კარგი იქნებოდა, რომ
ჩვენი ჯგუფის წევრები შეგვეკირება. როდესაც
შეგროვდნენ, მე მათ სიტყვით მივმართე:
„მეგობრებო, მოდით, თავი მოვუყაროთ ჩვენს
აზრებს და დაფიქრდეთ ჩვენს ყოფაზე. ჩვენ
მიწაზე მოვხვდით, იონას მსგავსად, რომელიც
ვეშაპმა მუცლიდან მიწაზე გადმოანთხია,* მაშინ
როდესაც მიგვაჩნდა რომ ოკეანემ გვშთანთქა.
თუმცა, ახლაც, როდესაც უკვე მიწაზე ვიმყ-
ოფებით, მაინც სიკვდილსა და სიცოცხლეს შო-
რის ვართ, რადგან როგორც ძველი, ისე ახალი
სამყაროს მიღმა აღმოვჩნდით და მხოლოდ
ღმერთმა უწყის, ოდესმე ვნახავთ თუ არა ევ-
როპას. აქ სასწაულებრივად მოვხვდით და, ამ-
დენად, არანაკლები სასწაული უნდა მოხდეს,
რომ აქედან გავალწიოთ. ამიტომაც, მოდით,
წარსულში ჩვენი ხსნის და ამჟამინდელი თუ მო-
მავალი საფრთხეების გათვალისწინებით, ჩვენი
მზერა ღმერთს მივაპყროთ და ყოველმა ჩვენ-
განმა საკუთარი თავი განვიწმინდოთ. თანაც,

* იონას მსგავსად, რომელიც ვეშაპმა მუცლიდან მი-
წაზე გადმოანთხია – იგულისხმება ძველი აღთქმის
წინასწარმეტყველი იონა. იხ.: იონ. 1-4 (მთარგმ.
შენიშვნა).

გვახსოვდეს, რომ ჩვენ ქრისტიან ხალხს შო-
რის ვიმყოფებით, რომელიც ღვთისმოსავი და
კაცთმოყვარეა. ამიტომაც, მოდით, ნუ შევირ-
ცხვენთ თავს მათ წინაშე ჩვენი მანკიერებებითა
და უღირსობებით. მაგრამ, ეს ყველაფერი არ
არის, მათ თავისი განკარგულებით (თუმცა, კი,
თავაზიანი ფორმით) სამი დღით ამ კედლებში
გამოგვეკეტეს. ვინ იცის, იქნებ ასე იმიტომაც
მოიქცნენ, რომ ჩვენი ყოფა-ქცევა და მდგო-
მარეობა მოსინჯონ? თუკი ცუდად მოვიქცევი-
თ, აქედან დაუყოვნებლივ გაგვაძევონ; ხოლო
კარგი მოქცევის შემთხვევაში კი დარჩენის
ვადა გავიხსანგრძლივონ. თანაც ის ხალხი,
რომლებიც შემწეებად მოგვიჩინეს, შესაძლოა,
იმავედროულად, თვალყურსაც გვადევნებდეს.
ამრიგად, ღვთის გულისათვის, ჩვენი სულისა
და სხეულის სიმშვიდისათვის, ისე მოვიქცეთ,
რომ მშვიდობაში ვიყოთ ღმერთთან და აქაური
ხალხის გულიც მოვიგოთ.“

ჩვენი ჯგუფის წევრებმა ერთხმად გადა-
მიხადეს მადლობა სასარგებლო შეგონებები-
სათვის და აღმითქვეს, რომ მშვიდად და თავა-
ზიანად მოიქცეოდნენ და წყენისათვის მცირედ
საბაბსაც არ მისცემდნენ მათ. ამგვარად, ეს
სამი დღე მხიარულად და უზრუნველად გავა-
ტარეთ იმის მოლოდინში, თუ რა მოხდებოდა
მათი გასვლის შემდეგ. ამ დროის განმავლობა-
ში ისიც გვახარებდა, რომ ყოველ მომდევნო
საათში, უფრო და უფრო უმჯობესდებოდა

ჩვენი სწეულების მდგომარეობა; ისინი ისე იოლად და სწრაფად იკურნებოდნენ, რომ თავიანთი თავი განკურნების ღვთაებრივ აუზში ეგონათ.

სამი დღის გასვლის შემდეგ, დილით, მოვიდა სხვა კაცი, რომელიც აქამდე არ გვენახა. იგი, მისი წინამორბედის მსგავსად, ლურჯებში იყო გამოწყობილი, იმ განსხვავებით, რომ მისი ჩაღმა თეთრი იყო და ზედ პატარა წითელი ჯვარი ესვა, მხრებზე კი თხელი ტილოს პელერინი* ჰქონდა მოსხმული. შემოსვლისას მცირედით დაიხარა და ხელები აღმართა. ჩვენ, ჩვენი მხრივ, ერთობ მდაბლად და მორჩილად მივესალმეთ; თითქოს მისგან ან სასიკვდილო განაჩენს ან სიცოცხლის შენარჩუნებას ველოდით. მან ისურვა, რომ ესაუბრა რამდენიმე ჩვენთაგანთან. ამიტომაც ოთახში ექვსნი დავრჩით, დანარჩენებმა კი დაგვეტოვეს. მან გვითხრა: „მე თანამედებობით უცხოელთა სახლის მმართველი ვარ, მონოდებით კი ქრისტიანი მღვდელი. ამდენად, მოვედი, რათა როგორც უცხოელებს, ხოლო, უპირველეს ყოვლისა კი, როგორც ქრისტიანებს, ჩემი სამსახური შემოგთავაზოთ. გარდა ამისა, ზოგიერთ ისეთ რამესაც გეტყვით, რომ, ვფიქრობ, გაგახარებთ. სახელმწიფომ ექვსი კვირით დარჩენის ნება დაგართოთ. თუკი თქვენი საქმეებისათვის მეტი დრო გჭირდებათ, ნუ დალონდებით, რადგან ამ

* პელერინი — ერთგვარი მანტია (მთარგმ. შენიშვნა).

მხრივ კანონი მკაცრი არ არის და ეჭვი არ მეპარება, რომ თავადვე შეეძლებ, გამოვითხოვო თქვენთვის ხელსაყრელი დროით დარჩენის ნებათვა. ისიც უნდა იცოდეთ, რომ ამ დროისათვის უცხოელთა სახლი მდიდარი და კარგად უზრუნველყოფილია. მისი შემოსავლები ბოლო ოცდაჩვიდმეტი წლის მანძილზე გროვდებოდა, რადგან ამ ხნის მანძილზე ამ მხარეში უცხოელი არ მოსულა. ამდენად, ნურაფერზე იფიქრებთ; თქვენი აქ ყოფნის განმავლობაში სახელმწიფო შეგინახავთ. მზრუნველობა ერთი დღეც არ მოგაკლდებათ. რაც შეეხება თქვენს საქონელს, თქვენ შეგეძლებათ მისი გაყიდვა სხვა საქონელზე ან ოქროსა და ვერცხლზე, ვინაიდან ჩვენთვის მათ ერთი ფასი აქვთ. ხოლო, თუკი რაიმე სათხოვარი გაქვთ, ნუ დამალავთ; რადგან თავადვე ნახავთ, რომ ჩვენი პასუხი ხასიათს არ ნაგახდენთ. მხოლოდ ერთ რამეს გეტყვით: საგანგებო ნებართვის გარეშე, არც ერთი თქვენგანი ქალაქის კედლებს ერთი კარანის (რაც იქაური მილნახევრის ტოლფასია) მანძილზე შორს არ უნდა გასცდეს.“

მას შემდეგ, რაც ესოდენ გულმონყალე და მამაშვილური მოპყრობით აღფრთოვანებულები ერთმანეთს შევაცქერდით, ჩვენ ვუთხარით მას, რომ არც კი ვიცოდით, თუ რა გვეთქვა; რომ მაღლიერების გამოსათქმელად სიტყვებს ვეძებდით; რომ ასეთი დიდსულოვანი შემოთავაზებების ფონზე სათხოვარი აღარაფერი

გვექონდა; რომ თითქოს ჩვენს წინ ჩვენი ზეციური ხსნის სურათი გადაშლილიყო; რადგან ცოტაოდენი ხნის წინ სიკვდილის კლანჭებში ვიყავით, ხოლო ახლა კი იმგვარ ადგილზე აღმოვჩნდით, სადაც ნუგეში ვპოვეთ. რაც შეეხება ჩვენზე დაკისრებულ აკრძალვას, შევპირდით, რომ ჩვენ მას არ დავარღვევდით და რომ, მართალია, ეს შეუძლებელი იყო, მაგრამ გულითადი სურვილი გვექონდა ამ ბედნიერი და წმინდა მიწის სრულად მონახულებისა. აქვე დავამატეთ, რომ უმაღლესი სასაზე მიგვახმებოდა, თუკი ოდესმე ამ პატივცემულ კაცს და მის მთელ ერს ლოცვებში არ მოვიხსენებდით. ჩვენ მას მორჩილებით ვთხოვეთ, რომ მის ერთგულ მსახურებად ჩავეთვალეთ იმავე სამართლიანი წესით, რომელიც ოდითგანვე აკავშირებდა ადამიანებს დედამიწაზე და რომ მის ფერხთით ვდებდით ჩვენს თავს და ყოველივეს რაც გვებადა. მან გვითხრა, რომ იგი მღვდელი იყო და ჩვენგან ძმური სიყვარულის, სულიერი და ფიზიკური სიმრთელის სახით მხოლოდ სულიერ ჯილდოს ელოდა. ამის თქმა იყო და იგი ცრემლმორეული ნავიდა, ჩვენ კი ამ სიხარულითა და სიკეთით დაბნეულები დაგვტოვა. ერთმანეთში ვამბობდით, რომ ანგელოზების მიწაზე მოვხვდით, რომლებიც ყოველდღიურად გვეცხადებთან და ჩვენს სიმშვიდეს იცავენ, რასაც აქ ყველაზე ნაკლებად ველოდით.

მომდევნო დღეს, დაახლოებით ათი საა-

თისათვის, მმართველი კვლავ მოვიდა და მისალმების შემდეგ შინაურულად გვითხრა, რომ ჩვენს მოსანახულებლად მოსულიყო. მან სკამი მოითხოვა და დაჯდა. ჩვენც, დაახლოებით ათიოდე კაცი (დანარჩენები დაბალი რანგისა იყვნენ, ხოლო ზოგიერთი ქალაქში იყო გასული), მასთან ჩამოვჯექით. როდესაც სკამებზე მოვთავსდით, მან გვითხრა შემდეგი: „ჩვენ, კუნძულ ბენსალემის* მცხოვრებნი (მათ ენაზე ის ასე იწოდება), განცალკევებულად ვცხოვრობთ. ჩვენს მოგზაურებს ნესად აქვთ ჩვენი საიდუმლოს შენახვა, უცხოელებს კი იშვიათად ვღებულობთ. ყოველივე ამის მეშვეობით, დასახლებული სამყაროს დიდ ნაწილს კარგად ვიცნობთ, თავად კი უჩინარი ვრჩებით. და რადგან შეკითხვების დასმა იმას მართებს, ვინც ნაკლებ ცოდნას ფლობს, თანაც დროც რომ ხეირიანად გამოვიყენოთ, აჯობებს, თუკი შეკითხვებს თქვენ დასვამთ და არა მე.“ ჩვენ ვუპასუხეთ, რომ მორჩილად ვმადლობდით მას ამ შესაძლებლობისათვის და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ვფიქრობდით, რომ დედამიწაზე არაფერია გასაცნობად უფრო ღირებული, ვიდრე ამ ბედნიერი მიწის ყოფა. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, რადგან ჩვენ სამყაროს სხვადასხვა კიდეებიდან მოვდიოდით

* ბენსალემი – ებრაული სიტყვათშეთანხმება, რომელიც აღნიშნავს „მშვიდობის ქე“-ს (მთარგმ. შენიშვნა).

და ვიმედოვნებდით, რომ ერთ დღესაც ცათა სასუფეველში უთუოდ შევხვდებოდით (ორივე მხარე ხომ ქრისტიანები ვიყავით), გვსურდა, გვცოდნოდა (იქიდან გამომდინარე, რომ მათი მინა ესოდენ შორეული იყო, რომელსაც ფართო და უცნობი ზღვები გამოჰყოფდა იმ მიწისაგან, სადაც ჩვენი მხსნელი განკაცდა), თუ ვინ იყო მოციქული ამ მიწისა და როგორ მოხდა მისი რწმენაში მოქცევა? ამ კითხვამ მას სახეზე კმაყოფილება მოჰგვარა და გვითხრა: „თქვენ ჩემი გული მოიგეთ, ვინაიდან პირველად, სწორედ ეს კითხვა დამისვით. ეს აჩვენებს, რომ, უწინარეს ყოვლისა, თქვენ ცათა სასუფეველს ეძიებთ. სიამოვნებით და მოკლედ გაგცემთ პასუხს.“

„ჩვენი მხსნელის ამალღებიდან დაახლოებით ოცი წლის შემდეგ, ქალაქ რენფუსას (ქალაქი, რომელიც ჩვენი კუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს) მაცხოვრებლებმა, ერთ ღრუბლიან და მშვიდ ღამეს, ზღვაში, დაახლოებით ერთი მილის მანძილზე, სინათლის დიდი სვეტი იხილეს. ის მკაფიო არ იყო, მაგრამ ცილინდრის ფორმა ჰქონდა და ზღვიდან ერთობ მალლა, ცისკენ იყო აზიდული. მის თავზე სინათლის დიდი ჯვარი იყო გამოსახული, უფრო ბრწყინვალე და კაშკაშა ვიდრე თავად სვეტი. ამ უჩვეულო სურათის შემყურე ქალაქის მაცხოვრებლები საჭვრეტად სანაპიროზე შეიკრიბნენ, შემდეგ კი მცი-

რე ზომის ნავებში ჩასხდნენ, რათა ამ მშვენიერ სანახაობასთან ახლოს მისულიყვნენ. მაგრამ, როდესაც სვეტს დაახლოებით სამოცი იარდის მანძილზე მიუახლოვდნენ, წინსვლა ვეღარ მოახერხეს, მათ რაღაც აკავებდა, სხვა გზით სვლა შეეძლოთ, მასთან მიახლოება კი არა. ამგვარად, ყველა ნავი მის გარშემო ცურავდა; მიიჩნიეს, რომ ეს სინათლე ზეციური ნიშანი იყო. ისე მოხდა, რომ ერთ-ერთ ნავეში, სალომონის სახლის (ეს სახლი, ან თემი, ჩემო მეგობრებო, ამ სამეფოს ძვირფასი თვალია) ერთ-ერთი ბრძენკაცი იჯდა, რომელიც ერთხანს ამ სვეტსა და ჯვარს ყურადღებითა და მონივნებით ათვალიერებდა და უჭვრეტდა. ამის შემდეგ იგი მუხლებზე დაეცა, წამოდგა, ხელები ზეცისკენ აღაპყრო და შემდეგნაირი ლოცვა წარმოსთქვა: „უფალო ღმერთო ზეცისა და მიწისა, რომელმაც გულმონყალებით მოჰმადლე ჩვენს თემს შენი ქმნილებების და მათი საიდუმლოებების შესახებ ცოდნა და უწარი, ერთმანეთისაგან გავარჩიოთ, რამდენადაც ეს ადამიანთა მოდგმას ხელენიფება, ღვთიური სასწაულები, ბუნებრივი მოვლენები, ხელოვნების ქმნილებები და ყოველგვარი სახის თაღლითობები თუ ილუზიები. აქ შეკრებილი ხალხის წინაშე ვაღიარებ და ვამონმებ, რომ ის, რაც ჩვენს თვალწინ არის, შენი ნახელავია და რომ ეს ნამდვილი სასწაულია. და რამდენადაც შენი ნიგნებიდან ვიცი, რომ შენ

სასწაულებს მხოლოდ ღვთიური და კეთილი მიზნებისათვის ახდენ (ბუნების კანონები ხომ შენი კანონებია, ამდენად, შენ მხოლოდ დიდ მიზეზთა გამო გადახვალ ხოლმე მათ ზღვარს), მორჩილად გევედრებით, აკურთხო ეს დიადი ნიშანი, მონყალემა მოილო და გაგვიმხილო მისი მნიშვნელობა და დანიშნულება, რასაც, იდუმალად გვპირდები კიდევ, მისი ჩვენთან გამოგზავნით.“

„ლოცვის დასრულებისთანავე, მან დაინახა, რომ ნავს, რომელშიც თავად იჯდა, აღარაფერი აკავებდა და წინსვლა შეეძლო; მაშინ როდესაც, ყველა სხვა ნავი კვლავაც უძრავი რჩებოდა. ეს მან მიახლოების ნებართვად ჩათვალა, რბილად და უჩუმრად მოუსვა ნიჩბები და ნავით სვეტისკენ გასწავა; თუმცა, ვიდრე იქამდე მიაღწევდა, სინათლის სვეტი და ჯვარი გაიფანტა, ურიცხვი ვარსკვლავით მოჭედილი ცის კამარასავით გადაიშალა და მალევე გაქრა; მისგან არაფერი დარჩა, მხოლოდ კედრის მცირე ზომის კიდობანი თუ სკივრი ტივტივებდა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ წყალში ცურავდა, არ დასველებულიყო. მისი წინა მხრიდან ზრდა დაიწყო პალმის პატარა, მწვანე ტოტმა, რომელიც პირდაპირ მდგომი ნავისკენ მიიწევდა. როდესაც ბრძენკაცმა სკივრი, დიდი კრძალვით, ნავზე გადმოიტანა, ის თავად გაიხსნა. მასში იდო წიგნი და წერილი. ორივე მათგანი თხელ ეტრატზე იყო დაწერილი და სე-

ლის ნაჭრებში იყო გახვეული. წიგნი, ძველი და ახალი აღთქმის ყველა კანონიკურ წიგნს შეიცავდა და შეესაბამებოდა თქვენს ტექსტებს (რამდენადაც ჩვენ ვიცით თქვენი ეკლესიების მიერ აღიარებული ტექსტების შესახებ), თვით აპოკალიფსი და ახალი აღთქმის ზოგიერთი სხვა წიგნი,* რომელიც იმჟამად ჯერ დაწერილიც არ იყო, ამ წიგნში შეტანილი იყო. ხოლო, რაც შეეხება წერილს, მასში შემდეგი სიტყვები ეწერა:

„მე, ბართლომეს,** უზუნაესის მსახურს და იესო ქრისტეს მოციქულს, დიად ხილვაში მაუწყა ანგელოზმა, რომ ეს კიდობანი ზღვის ტალღებისათვის მიმეცა ამიტომაც, ვუმონმებ და ვუცხადებ იმ ხალხს, რომლის მიწასაც, ღმერთის ნებით, ეს კიდობანი მიადგება, რომ იმ დღიდან გადმოვა მათზე ხსნა და მშვიდობა, მამაზეციერის და უფლისა ჩვენისა იესოს წყალობა.“

„ამასთან, როგორც წიგნში, ისე წერილში, სასწაული მოგვევლინა, მსგავსად მოციქულები-

* ახალი აღთქმის ზოგიერთი სხვა წიგნი - სავარაუდოდ, იგულისხმება მოციქულთა საქმენი, კათოლიკე ეპისტოლენი და წმ. პავლეს ეპისტოლენი (მთარგმ. შენიშვნა).

** წმ. ბართლომე - იესო ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული, რომელიც, სხვადასხვა ცნობების მიხედვით, ინდოეთსა და სომხეთში ქადაგებდა (მთარგმ. შენიშვნა).

სა, რომლებიც სხვადასხვა ენებზე ალაპარაკ-
დნენ; ადგილობრივებთან ერთად, იმჟამად
ჩვენს მხარეში მყოფი ებრაელები, სპარსელები
და ინდოელები, თავისუფლად კითხულობდნენ
ამ წიგნსა და წერილს, თითქოს ისინი მათ მშობ-
ლიურ ენაზე ყოფილიყო დანერვილი. ამგვარად
იხსნა ჩვენი მინა კიდობანმა (ისევე როგორც
ძველი სამყარო წარლენამ) ურწმუნოებისაგან,
წმინდა ბართლომეს სამოციქულო და სასწაუ-
ლებრივი მისიონერობის გზით.“ აქ მთხრობელი
შეჩერდა, მასთან შიკრიკი მოვიდა და ჩვენგან
გამოიხმო. ამდენად, ამ ბჭობიდან მხოლოდ ეს
ამბავი შევიტყვეთ.

მომდევნო დღეს უცხოელთა სახლის
მმართველი სადილის დასრულებისთანავე
გვესტუმრა, მოგვიბოდიშა, რომ წინა დღეს,
გამოძახების გამო, მოულოდნელად ჩვენი და-
ტოვება მოუწია. მაგრამ გვითხრა, რომ ამას
ახლა აანაზღაურებდა და დროს ჩვენთან ერ-
თად გაატარებდა, თუკი მასთან ყოფნა და
საუბარი გვესიამოვნებოდა. ჩვენ ვუპასუხეთ,
რომ ეს ჩვენთვის ერთობ სასიამოვნო და მის-
აღები იყო, რადგან, როდესაც მას ვუსმენდით,
გვაეციყდებოდა როგორც წარსულში გადატ-
ანილი ხიფათები, ისე მომავალი საფრთხეე-
ბიც; რომ მასთან გატარებული ერთი საათი
ჩვენი ცხოვრების განვლილი წლების ტოლ-
ფასად მიგვაჩნდა. მან ოდნავ დაგვიკრა თავი
და როდესაც კვლავ ჩამოვსხედით, გვითხრა:

„კეთილი, მაშინ, თქვენს კითხვებს ველოდები.“
მცირედი პაუზის შემდეგ, ერთ-ერთმა ჩვენ-
განმა თქვა, რომ იყო ერთი საკითხი, რომ-
ლის შესახებაც იმდენადვე გესურდა პასუხის
მიღება, რამდენადაც გვეშინოდა მის შესახებ
შეკითხვის დასმა, რადგან ვფიქრობდით, რომ
ამით ჩვენს თავს ზედმეტის უფლებას მივცემ-
დით. მაგრამ ჩვენს მიმართ მისი კაცთმოყვარე
დამოკიდებულებით შეგულიანებულნი (რის
გამოც თავს უცხოებად კი არ ვგრძნობდით,
არამედ მის ერთგულ და გულწრფელ მსახ-
ურებად) ვბედავდით, ამ საკითხზე სიტყვა
გადაგვეკრა; რომ მორჩილად ვთხოვდით მას
პატიებას, თუკი ეს შეკითხვა შეუფერებელი
იქნებოდა ან თუკი იგი მასზე პასუხს თავს აა-
რიდებდა. ისიც ვუთხარით, რომ ჩვენ გვახსოვ-
და მის მიერ ამას წინათ თქმული, რომ ეს
ბედნიერი კუნძული, რომელზედაც ჩვენ ახლა
ვიმყოფებდით, ცოტასათვის თუ იყო ცნო-
ბილი, მაშინ როდესაც აქაური მცხოვრებნი
მსოფლიოს უმეტეს ხალხებს იცნობდნენ. ჩვენ
გვჯეროდა, რომ ეს სიმაართლე იყო, რადგან
ისინი ევროპულ ენებს ფლობდნენ და ჩვენი
სახელმწიფოსა თუ საქმეების შესახებ ბევრი
იცოდნენ; და მაინც, ჩვენ, ევროპაში (ამ ბოლო
დროს შორეულ მანძილებზე განხორციელებუ-
ლი აღმოჩენებისა და ნაოსნობის მიუხედავად)
ერთი გადაკრული სიტყვაც არ გვსმენოდა ამ
კუნძულის შესახებ. ეს ჩვენ განსაცვიფრებლად

და უცნაურად გვეჩვენებოდა; ვინაიდან ყველა ერმა უწყის ერთმანეთის შესახებ ან უცხო მხარეებში მოგზაურობების, ან კიდევ სტუმრად ჩამოსული უცხოელების მეშვეობით. მართლია, უცხო ქვეყანაში, მოგზაური, როგორც წესი, უფრო მრავლის მნახველია, ვიდრე ის, ვინც სახლში რჩება და მოგზაურის მონაყოლით იგებს ამბებს, მაგრამ, ორივე გზა გამოდგება საიმისოდ, რომ ხალხები ერთმანეთის შესახებ გარკვეულ ცოდნას ფლობდნენ. ხოლო რაც შეეხება ამ კუნძულს, ჩვენ არასდროს გვსმენოდა, რომ მათი რომელიმე გემი ევროპის ნაპირებს მიდგომოდა; არც ის გვსმენია, რომ მათი გემები აღმოსავლეთ ან დასავლეთ ინდოეთში შეენიშნათ და არც ის, რომ მსოფლიოს რომელიმე ქვეყნის გემი მათ კუნძულზე ჩასულიყო. მაგრამ აქ საკვირველი ეს როდი იყო, რადგან (როგორც მისმა უგანათლებულესობამ ბრძანა) ამის მიზეზი, შესაძლოა ის ყოფილიყო, რომ კუნძული ფართო ზღვის ამოუცნობ ადგილებში მდებარეობდა. საკვირველი უფრო ის იყო, რომ მათ იცოდნენ, ენები, ნიგნები თუ საქმეები იმ ხალხებისა, რომლებიც მათგან ესოდენ შორეულ მანძილზე სახლობდნენ. ჩვენ სწორედ ამ გარემოებას ვერ ვხსნიდით; და ეს ღვთაებრივი არსებებისათვის დამახასიათებელ თვისებად მიგვაჩნდა, რომლებიც თავად უჩინარნი და უხილავნი არიან, ხოლო, სხვებს კი, ხელის გულზე ხედავენ.

ამ ნათქვამზე მმართველს კეთილად ჩაეღიმა და გვითხრა, რომ სწორად მოვიქეციით, როდესაც ამ შეკითხვის დასმისათვის მოვიბოდიშეთ, რადგან ეს შეკითხვა იმაზე მიანიშნებდა, რომ ჩვენ ეს მინა ჯადოქრების ქვეყანა გვეგონა, რომლებიც ქარის სულებს გზავნიან სხვადასხვა მხარეებში, რათა სხვა ქვეყნების შესახებ ცნობები და ცოდნა შეაგროვონ. ამაზე ჩვენ ყველამ დიდი მონივნებით ვუპასუხეთ, ამავე დროს, სახის გამომეტყველებით ვაგრძნობინეთ, რომ ხუმრობით ნათქვამს მივუხვდით. ჩვენ მაინც იმ აზრისკენ ვიხრებოდით, რომ კუნძულზე რაღაც ზებუნებრივი ხდებოდა, თუმცა ეს ჯადოქრული მოვლენა კი არ იყო, არამედ ანგელოზებრივი. მაგრამ, სინამდვილეში, მის უგანათლებულესობას უნდა სცოდნოდა, რომ ამ შეკითხვის დასმისას, ჩვენი ჭოჭმანისა და ეჭვების საფუძველი ამგვარი ფანტაზიები კი არ იყო, არამედ ის, რომ გვახსოვდა, მის მიერ უნინ ნათქვამი, რომლის მიხედვითაც ამ მინის კანონები, უცხოელებისაგან მისი საიდუმლოს შენახვას მოითხოვდა. ამაზე მან შემდეგი პასუხი გაგვცა: „თქვენ სწორად დაგიმახსოვრებიათ; ამიტომაც, ჩემს პასუხში გვერდს ავუვლით ზოგიერთ დეტალზე საუბარს, რომელთა გაცხადებასაც კანონი მიკრძალავს; მიუხედავად ამისა, ჩემი მონაყოლი საკმარისი იქნება თქვენი წადილის დასაკმაყოფილებლად.“

„თქვენ უნდა იცოდეთ (რაც, ალბათ, შეუ-

ძლებლად მოგეჩვენებათ), რომ 3000 და უფრო მეტი წლის წინ, მსოფლიოში ნაოსნობა (განსაკუთრებით კი შორეულ მანძილებზე) უფრო მასშტაბური იყო, ვიდრე ეს დღეს არის. ნუ იფიქრებთ, რომ მე არ ვიცი, თუ როგორ განვითარდა ის თქვენში უკანასკნელი სამოცი წლის მანძილზე. მე ეს კარგად ვიცი და, მიუხედავად ამისა, გეუბნებით, რომ იმ დროში, ის დღევანდელზე უფრო მასშტაბური იყო. ამის მიზეზი, შესაძლოა, კიდობანის მაგალითი ყოფილიყო, რომელმაც საყოველთაო წარღვნისაგან უკანასკნელი ადამიანები იხსნა და დაარწმუნა ადამიანთა მოდგმა, წყლისათვის მიენდო საკუთარი ბედი; ან შესაძლოა რაიმე სხვა მიზეზი ყოფილიყო; მაგრამ ეს ნამდვილად ასე იყო. დიდი ფლოტი ჰქონდათ ფინიკიელებს, განსაკუთრებით კი ტვიროსელებს; ისევე როგორც მათ კოლონიას კართაგენს, რომელიც შორეულ დასავლეთში მდებარეობდა. აღმოსავლეთში დიდი ფლოტი ჰქონდათ ეგვიპტელსა და პალესტინასაც. ასევე, ჩინეთს და დიდ ატლანტიდას (რომელსაც თქვენ ამერიკას უწოდებთ), მათ ახლა მხოლოდ ჯონკები და კანოეები ჰყავთ, მაშინ კი დიდი გემები ჰყავდათ. ამ კუნძულს (როგორც იმჟამინდელი სანდო ჩანანერები გვაუწყებენ) დიდი მოცულობის 1500 გემი ჰყავდა. ყოველივე ამის შესახებ თქვენ ცოტა თუ გახსოვთ, ან საერთოდ არ გახსოვთ; ჩვენ კი ამ მხრივ დიდ ცოდნას ვფლობთ.“

„იმ დროში ჩვენს მინას ყველა ზემოხ-

სენებული ხალხი იცნობდა, ხოლო მათი გემები და ხომალდები ხშირად გვსტუმრობდნენ. ზოგჯერ მათთან ერთად იმ ქვეყნების ხალხიც ჩამოდიოდა, რომლებსაც ფლოტი არ ჰყავდათ; ამგვარად, ჩვენთან ჩამოდიოდნენ სპარსელები, ქალდეელები, არაბები და თითქმის ყველა სხვა ძლევამოსილი და სახელგანთქმული ხალხის წარმომადგენლები. ჩვენს მხარეში, დღემდე შემორჩენენ მათი პატარა თემები და ტომები. ხოლო, რაც შეეხება ჩვენს გემებს, ისინი სხვადასხვა მიმართულებით მოგზაურობდნენ, მათ შორის თქვენს სრუტეშიც, რომელსაც ჰერაკლეს სვეტებს* უწოდებთ, ისევე როგორც ატლანტიკისა და ხმელთაშუა ზღვების სხვადასხვა ნაწილებში; ასევე პაგუინში (ანუ კამბალანში) და ქინსიში,** აღმოსავლეთის ზღვებზე, აღმოსავლეთ სათათრეთის საზღვრებისკენ.

იმ დროისათვის, ისევე როგორც მომდევნო ასწლეულის მანძილზე, დიდი ატლანტიდის ხალხს აყვავების ხანა ედგა. ერთი თქვენებური

* **ჰერაკლეს სვეტები** – გიბრალტარის სრუტის ორ მხარეს, ერთმანეთის მოპირდაპირედ აღმართული კონცხები (მთარგმ. შენიშვნა).

** **პაგუინი (კამბალანი)** – იგულისხმება ჩინეთის დედაქალაქი პეკინი; **ქინსი** – იგულისხმება ჩინეთის პროვინცია ჯუძიანის დედაქალაქი ხანჯოუ (მთარგმ. შენიშვნა).

დიადი კაცი ჰყვებოდა* და აღწერდა, რომ იქ ნეპტუნის შთამომავლები სახლობდნენ, ჰქონდათ დიდებული ტაძარი, სასახლე, ქალაქი და მთა, მრავალრიცხოვანი კარგი სანაოსნო მდინარეები, ჯაჭვურად რომ გარს ერტყმოდნენ ამ ადგილსა და ტაძარს, რომელსაც რამდენიმეშრიანი აღსავალი ჰქონდა. მასზე ადამიანები ისე ადიოდნენ, თითქოს ის *Scala Coeli*** ყოფილიყო. ცხადია, ეს პოეტური და ზღაპრული აღწერაა; მაგრამ მასში ბევრი რამ სიმართლეა. ზემოხსნებული ქვეყანა ატლანტიდა, პერუ, რომელსაც იმჟამად კოია ეწოდებოდა, ისევე როგორც მექსიკა, მაშინ ტირამბელად წოდებული, ძლიერი და ამაყი სამეფოები იყვნენ თავიანთი ჯარებით, ფლოტითა და სიმდიდრეებით. ისინი იმდენად ძლევამოსილი იყვნენ, რომ ერთდროულად, ან სულ მცირე, ათი წლის შუალედში ორმა მათგანმა დიდი მოგზაურობები განახორციელეს. ტირამბელის ხალხმა ატლანტიკის გავლით ხმელთაშუა ზღვაში იმოგზაურა, ხოლო კოიას ხალხმა კი სამხრეთის ზღვის გავლით ჩვენს კუნძულამდე

* ერთი თქვენბური დიადი კაცი ჰყვებოდა - იგულისხმება ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი (ძვ. წ. დაახლ. 429-347 წწ.), რომელიც თავის დიალოგებში „ტიმოოსი“ და „კრიტონი“ აღწერს ფიქციურ კუნძულ ატლანტიდას (მთარგმ. შენიშვნა).

** *Scala Coeli* (ლათ.) - „ზეციური კიბე“ (მთარგმ. შენიშვნა).

მოაღწია. როგორც ჩანს, ამ ორიდან პირველი მოგზაურობის შესახებ, რომელიც ევროპაში განხორციელდა, ეგვიპტელი ქურუმისაგან შეიტყო თქვენმა იმ დიდმა მწერალმა და მისი მონაყოლი გადმოსცა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი რამ ნამდვილად მოხდა. მაგრამ, ნამდვილად არ ვიცი, იყვნენ თუ არა ძველი ათენელები ის ხალხი, რომელთაც ამ ძალების მოგერიებისა და უკუგდების პატივი ერგოთ. მხოლოდ ის ვიცი, რომ ამ მოგზაურობიდან არცერთი გემი და კაცი არ დაბრუნებულა. ჩვენებრ გულმონყალე მტერს რომ არ შეხვედროდა, უკეთესი ბედი არც კოიას ხალხს ელოდა, რომელმაც ჩვენს მხარეში იმოგზაურა. ამ კუნძულის ხელმწიფე ალტაბინი, რომელიც ბრძენი კაცი და დიდი მეომარი იყო, კარგად იყო გათვითცნობიერებული როგორც საკუთარი, ისე მტრის ძალის შესახებ. მან მათი სახმელეთო ჯარი გემებს მოსწყვიტა და ზღვაზე და ხმელეთზეც მათი ფლოტი და ბანაკი დიდი ძალებით ალყაში მოაქცია. ამით მან აიძულა ისინი, უომრად დანებებულიყვნენ და როდესაც ისინი მის ხელში მოექცნენ, მან მათგან მხოლოდ ფიცის მიღება იკმარა, რომ აღარასდროს აღმართავდნენ იარაღს მის წინააღმდეგ, რის შემდეგაც ყველა მშვიდობიანად გაუშვა.“

„მაგრამ ამ ქედმაღლური განზრახვებიდან მალევე მათ ღვთიური რისხვა დაატყდათ. ასმა წელმაც არ განვლო და დიდი ატლან-

ტიდა საბოლოოდ დაიღუპა და განადგურდა. მიზეზი მინისძვრა არ ყოფილა, როგორც ამას თქვენი მწერალი ამბობდა, ვინაიდან იმ მხარეებში მინისძვრები ნაკლებად ხდება, არამედ მიზეზი ერთგვარი წარღვნა ან დატბორვა იყო. იმ ქვეყნებში დღემდე უფრო დიდი მდინარეები და უფრო დიდი წყალმდინარე მთებია, ვიდრე ძველი სამყაროს ნებისმიერ სხვა ნაწილში. თუმცა, წყალმა არც ისე ღრმად დატბორა ეს მიწები; უმეტეს ადგილებში მისი სიმაღლე მინიდან მხოლოდ ორმოც ფუტს აღწევდა. მართალია, ადამიანები და ცხოველები, დიდწილად, განადგურდნენ, მაგრამ ზოგიერთი ტყის ველური ბინადარი გადარჩა. გადარჩნენ ფრინველებიც, რომელთაც თავი მაღლა მდებარე ტყეებსა და ხეებს შეაფარეს. ხოლო რაც შეეხება ადამიანებს, მართალია, მათ მრავალ ადგილას ჰქონდათ ისეთი ნაგებობები, რომლებიც წყლის დონეზე მაღლა იდგნენ, მაგრამ, დატბორვა, მიუხედავად იმისა, რომ წყალმცირე იყო, დიდხანს გაგრძელდა. ამრიგად, ხეობებში მაცხოვრებლები დახრჩობას კი გადაურჩნენ, თუმცა, სამაგიეროდ, მათ საკვების და სხვა საჭიროებების უქონლობამ მოუხსნარაფა სიცოცხლე. ამგვარად, ნუ გაგიკვირდებათ, რომ ამერიკა ხალვათად არის დასახლებული და რომ იქაური მოსახლეობა უკმეხი და უმეცარია. ამერიკის მოსახლეობა ახალგაზრდა ხალხად უნდა ჩათვალოთ, ისინი დანარჩენ

სამყაროზე, სულ მცირე, ათასი წლით ახალგაზრდები არიან, რადგან საყოველთაო წარღვნასა და მათი მხარის კონკრეტულ დატბორვას წნორედ ეს დრო ამორებს.“

„იმ გადარჩენილმა ადამიანებმა, რომლებიც მთებში ცხოვრობდნენ, ნელ-ნელა დაიწყეს იმ მხარეში ხელახალი დასახლებების გაშენება და რადგან ეს ხალხი მარტივი და ველური იყო (განსხვავებით ნოესა და მისი შვილებისაგან, რომელიც დედამიწის წამყვანი ოჯახი გახდა), მათ საკუთარი შთამომავლობისათვის დამწერლობა, ხელოვნება და ცივილიზაცია არ დაუტოვეთ. ისინი მთაში ცხოვრებას იყენებდნენ მიწვეულნი და იმ მხარეებისათვის დამახასიათებელი მკაცრი სიცივის გამო, ვეფხვების, დათვების და იმ ადგილებში მობინადრე ხშირბუნვიანი თხების ტყავით იმოსებოდნენ; ხოლო როდესაც ბარში ჩამოვიდნენ, სადაც აუტანელი სიცხეები იყო, მათ არ იცოდნენ თხლად შემოსვის საშუალებები და, ამდენად, იძულებულნი იყვნენ, სიშიშვლეს შეჩვეოდნენ. ეს დღემდე ასე გრძელდება. თუმცა, მათ ერთობ ეამაყებათ და სიამოვნებთ, თავის მორთვა ფრინველის ბუმბულით. ეს წესი მათ, ასევე, თავისი მთიელი წინაპრებისგან გამმოიღეს, რომლებიც შთაგონებული იყვნენ ფრინველთა იმ აურაცხელი გუნდებით, ბარის დატბორვის გამო მაღლობებისკენ რომ მიფრინავდნენ. ამგვარად, როგორც ხვდებით, ამ დიდი უბედურების გამო, ამერიკელებთან

მიმოსვლა შეწყდა, მაშინ როდესაც მათთან, რადგან ისინი ჩვენთან ყველაზე ახლოს სახლობდნენ, მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები გვექონდა. რაც შეეხება მსოფლიოს სხვა მხარეებს, ცხადი ხდება, რომ მომდევნო ეპოქებში (შესაძლოა ომების გამო, ან ჟამთაშვლის კვალდაკვალ) ნაოსნობა დიდწილად ყველგან ჩამოქვეითდა, ხოლო შორეული მოგზაურობები კი მიატოვეს და მათზე საბოლოოდ აიღეს ხელი. ამის მიზეზი გაღერების და სხვა მსგავსი გემების მშენებლობაზე გადასვლა იყო, რომლებიც ოკეანეში ცურვას ვერ უძლებდნენ. მაშასადამე, სხვა ერების მხრიდან ჩვენთან ურთიერთობა, როგორც ხედავთ, კარგა ხანია შეწყდა, ვინაიდან მათ არ ძალუძთ ჩვენს მხარეში საზღვაო მიმოსვლა, ისეთი იშვიათი გამოწვევების გარდა, როგორიც თქვენი შემთხვევაა. მაგრამ სხვა გარემოებით უნდა ავხსნა ის, თუ რატომ შეეწყვიტეთ ჩვენი მხრიდან სხვა ერებთან ურთიერთობა და მათ მხარეებში მოგზაურობა. მსურს, თქვენთან პირმართალი ვიყო. ამიტომაც გეტყვი, რომ ჩვენი ფლოტი რიცხოვნობით, ძლიერებით, მეზღვაურებით, ლოცმანებით და ნაოსნობასთან დაკავშირებული ყველა სხვა ატრიბუტით, ისეთი დიადია, როგორიც არასდროს ყოფილა. მაშინ რატომ ვრჩებით სახლში?! მოგიხრობთ ყოველივეს ისე, როგორც არის და ამით თქვენი მთავარი კითხვის პასუხსაც მივუახლოვდები.“

„დაახლოებით 1900 წლის წინ, ამ მიწას მართავდა მეფე, რომლის ხსოვნასაც ჩვენ სხვათა ხსოვნაზე მეტად ვცემთ თაყვანს. თუმცა, არა ცრურწმენის გამო, არამედ იმიტომ, რომ იგი ღვთისმოვლენილ კაცად მიგვაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ მოკვდავი იყო. მას სალომანა ერქვა და ჩვენ მას ერის კანონმდებლად მივიჩნევთ. მეფე დიდი გულის პატრონი იყო, რომლითაც უზღვევ სიკეთეს ატარებდა და მხოლოდ იმისათვის იღვწოდა, რომ თავისი სამეფო და ხალხი გაებედნიერებინა. იგი მიიჩნევდა, რომ ეს მხარე ერთობ თვითკმარი და თვითმყოფი იყო საიმისოდ, რომ უცხოელთა დახმარების გარეშე შეენახა თავი. მისი გარშემოწერილობა 5000 მილს შეადგენდა, ხოლო მინა უმეტეს ნაწილებში იშვიათი ნაყოფიერებით გამოირჩეოდა. ასევე, იგი ფიქრობდა, რომ ამ ქვეყნის ფლოტი სასარგებლო სამუშაოს გასწევდა თევზაობის და ნავსადგურებში ტვირთის გადაზიდვის მხრივ, ისევე როგორც იმ პატარა კუნძულებთან საზღვაო მიმოსვლით, რომლებიც ჩვენს სიახლოვეს მდებარეობენ და ჩვენი სახელმწიფოს სამეფო ტახტსა და კანონებს ემორჩილებიან. იგი იმაზეც დაფიქრდა, თუ როგორი ბედნიერი იყო და როგორ ჰყვებოდა ეს მხარე იმჟამად; რომ ათასი საშუალება არსებობდა ამ მდგომარეობის გასაუარესებლად, ხოლო ძნელად თუ მოიძებნებოდა გზა მის გასაუმჯობესებლად. ამრიგად, თავისი

კეთილშობილური და გმირული განზრახვების აღსასრულებლად მას (სადამდეც ამას ადამიანის შორსმჭვრეტელობა სწვდება) მხოლოდ ის სურდა, რომ უკვდავეყო იმჟამინდელი, ესოდენ ბედნიერად დაფუძნებული ქვეყანა. ამიტომაც, მან თავის სამეფოში, ძირითად კანონებთან ერთად, დაანესა აკრძალვები უცხოელთა შემოსვლის შესახებ, რაც იმ ხანად (მიუხედავად იმისა, რომ ეს ამერიკის დაცემის შემდეგ იყო) ხშირად ხდებოდა. იგი შიშობდა, რომ ეს ჩვეულებების ცვლილებას და აღრევას გამოიწვევდა. მართალია, მსგავსი კანონი, რომელიც უცხოელთა უნებართვოდ შესვლას კრძალავს, ოდითგანვე იყო ჩინეთის სამეფოში და ის დღემდე მოქმედებს, მაგრამ ის ერთობ უხეიროა და მის გამო ჩინელები უცნაურ, უმეტარ, მშიშარა და უგუნურ ხალხად იქცნენ. ჩვენმა კანონმდებელმა კი სხვაგვარი კანონი შექმნა. უპირველეს ყოვლისა, მან კანონში კაცთმოყვარეობის სულისკვეთება შეინარჩუნა იმ აზრით, რომ დაზარალებულ უცხოელთა დასახმარებლად შესაბამისი ზომები გაითვალისწინა, რაც თქვენ საკუთარ თავზეც გამოსცადეთ.“

ამ სიტყვებზე ჩვენ (რამდენადაც საამისოდ საფუძველი გვქონდა) ყველანი წამოვდექით და მას თავი დაუუკართ. მან კი განაგრძო: „ეს ხელმწიფე კაცთმოყვარეობის და პოლიტიკის შეთავსებას ცდილობდა და მიიჩნევდა, რომ, ერთი მხრივ, არაჰუმანური იქნებოდა

უცხოელებს აქ დატოვება მათივე ნების საწინააღმდეგოდ, მეორე მხრივ კი, პოლიტიკურად გაუმართლებელი იქნებოდა, რომ მათთვის დაბრუნების უფლება მიეცა, რის შემდეგაც ისინი ჩვენი მდებარეობის შესახებ ცნობებს გაავრცელებდნენ. ამიტომაც მან დაადგინა, რომ ყველა იმ უცხოელს, რომელსაც მიწაზე გადმოსხდომის უფლებას დართავდნენ, ნებისმიერ დროს შეეძლო უკან გამგზავრება; მაგრამ თუკი დარჩებოდა, საუკეთესო პირობებს შესთავაზებდნენ და მისი ცხოვრების ხარჯებს სახელმწიფო დაფარავდა. ამ მხრივ იგი იმდენად შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა, რომ ამ აკრძალვის დანესებიდან ასწლეულების განმავლობაში, ვიდრე დღევანდელ დღემდე, ერთი გემიც კი არ ყოფილა, რომელიც უკან დაბრუნებულიყოს. სხვადასხვა დროს, მხოლოდ ცამეტი პირი დაბრუნდა უკან, ისიც ჩვენი გემების მეშვეობით. თუ რა მოჰყვა ამ რამდენიმე კაცმა უკან დაბრუნებისას, ამის შესახებ მე არაფერი ვიცი. მაგრამ, ალბათ, თქვენ თვითონაც ხვდებით, რომ რაც არ უნდა მოეყოლათ და სადაც არ უნდა მისულიყვნენ, ამას სიზმრად ჩაუთვლიდნენ. რაც შეეხება ჩვენს მოგზაურობებს საზღვარგარეთ, ჩვენმა კანონმდებელმა საჭიროდ ჩათვალა, რომ ისინი სრულად აეკრძალა. ჩინეთში კი ეს ასე არ ხდება. ჩინელები მოგზაურობენ ყველგან, სადაც სურთ ან შეუძლიათ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ უცხოელთა შემომ-

ვების აკრძალვის შესახებ კანონი სიმბდალისა და შიშის შედეგია. ჩვენს აკრძალვას კი ერთი შესანიშნავი გამოჩაქისი ახასიათებს. ჩვენ ვინარჩუნებთ ყოველივე კარგს, რომელსაც უცხოელებთან ურთიერთობისაგან ვიღებთ, ხოლო ყოველგვარ მავნებლურს კი უკუვაგდებთ. ახლა მე თქვენ სწორედ ამის შესახებ უნდა მოგიხროთ.“

„აქ შესაძლოა, მოგეჩვენოთ, რომ მე საქმის არსს გადავუხეიე, მაგრამ, თანდათან დაინახავთ, რომ ეს მასთან პირდაპირ კავშირშია. ძვირფასო მეგობრებო, უნდა იცოდეთ, რომ ამ მეფის ბრწყინვალე საქმეებს შორის ერთი ყველაზე გამორჩეული იყო. კერძოდ კი, მან დააფუძნა ერთგვარი ორდენი ან საზოგადოება, რომელსაც ჩვენ სალომანის სახლს ვუნოდებთ. ჩვენი აზრით, ის ყველაზე კეთილშობილური გაერთიანებაა იმათ შორის, რომელიც ოდესმე არსებულა დედამიწაზე და ის ჩვენი სამეფოს მანათობელი ლამპარია. ის ღმერთის საქმეებისა და ქმნილებების შესწავლას ისახავს მიზნად. ზოგიერთი ფიქრობს, რომ მის სახელწოდებაში დამფუძნებლის სახელი მცირედით დამახინჯებულია და რომ სინამდვილეში ის სოლომონის სახლად უნდა იწოდებოდეს. მაგრამ ჩანანერებში ის სწორედ ასეა მოხსენებული. მე ვფიქრობ, რომ მას ებრაელთა იმ მეფის სახელი ეწოდება, რომელიც ცნობილია თქვენში და არც ჩვენშია უცნობი. ჩვენ მისი ნაშრომების ზოგიერთი ის

ნაწილი გვაქვს, რომელიც თქვენში დაკარგულია, სახელდობრ, მისი ბუნების ისტორია, რომელიც მოგვითხრობს ყველა არსებული მცენარის შესახებ, დაწყებული ლიბანის კედრიდან დამთავრებული ხავსით, რომელიც კედლებზე იზრდება; იქვე ყველა ცოცხალი და მოძრავი არსების შესახებაც არის მოთხრობილი. ეს მაფიქრებინებს, რომ ჩვენი მეფე მრავალ რამეში საკუთარ თავს ებრაელთა მეფესთან აიგივებდა, რომელიც მასზე მრავალი წლით ადრე ცხოვრობდა და, ამდენად, პატივი მიაგო მას ამ გაერთიანებისათვის მისი სახელის წოდებით. ამ მოსაზრების მართებულობაში ისიც მარწმუნებს, რომ უძველეს ჩანანერებში ეს ორდენი ან საზოგადოება ზოგჯერ იწოდება სოლომონის სახლად, ზოგჯერ კი ექვსდღიანი შესაქმის კოლეგიად, რაც მაფიქრებინებს, რომ ჩვენმა ბრწყინვალე მეფემ ებრაელებისაგან შეიტყო ღმერთის მიერ ექვს დღეში სამყაროს და ყოველივე მასში არსებულის შექმნის შესახებ: და ამდენად, დააფუძნა ეს სახლი ყოველი საგნის ქვეშაირტი ბუნების ძიებისათვის, რათა მათი შემქმნელი ღმერთი უფრო განდიდებულიყო, ხოლო ადამიანებს კი უფრო ნაყოფიერად გამოეყენებინათ ისინი და უწოდა მას ეს მეორე სახელიც.“

„მაგრამ ახლა ჩვენს ამჟამინდელ საუბარს დავუბრუნდეთ. როდესაც მეფემ თავის ხალხს აუკრძალა იმ მხარეებში ნაოსნობა, რომელიც

მის ტახტს არ ემორჩილებოდა, მან იქვე ისიც დაადგინა, რომ თორმეტ წელიწადში ერთხელ ჩვენი სამეფოდან სხვადასხვა მხარეებში უნდა ემოგზაურა ორ გემს. თითოეულ გემზე სალომანის სახლის სამი წევრი უნდა ყოფილიყო, რომელთაც მხოლოდ ის ევალებოდათ, რომ ჩამოეტანათ ცოდნა იმ ქვეყნების მდგომარეობისა და საქმეების შესახებ, სადაც იმოგზაურებდნენ; განსაკუთრებით კი მეცნიერების, ხელოვნების, წარმოების და გამოგონებების შესახებ მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ასევე, მათ უნდა ჩემოეტანათ წიგნები, ხელსაწყოები და ყოველგვარი სახის ნიმუშები. მას შემდეგ, რაც გემები წევრებს ჩაიყვანდნენ, ისინი უკან უნდა გამობრუნებულიყვნენ, ხოლო სალომანის სახლის წევრები ახალი მისიის მოსვლამდე უცხოეთში უნდა დარჩენილიყვნენ. ამასთან, გემები დატვირთული უნდა ყოფილიყო საქონლის მარაგით და მოზრდილი ოდენობის ოქროთი, რომელიც გაგზავნილ წევრებთან დარჩებოდა, რათა მათ, თავიანთი შეხედულების მიხედვით, შეესყიდათ სხვადასხვა ნივთები და დაესაჩუქრებინათ სხვადასხვა პირები. თუ რა გზით ახერხებენ ჩვენი მეზღვაურები ხმელეთზე შეუმჩნევლად ყოფნას; თუ როგორ ინიღბებიან ხმელეთზე გადმომსხდარნი სხვა ერების სახელქვეშ; თუ რომელ მხარეებში ხორციელდებოდა ეს მოგზაურობები; თუ რომელ მხარეებში იგეგმება ახალი მისიების გაგზავნა და სხვა

ამგვარ პრაქტიკულ გარემოებებზე ვერაფერს გეტყვით. ვფიქრობ, ამის გაგება არც თქვენ უნდა გასურდეთ. მაგრამ, როგორც ხედავთ, ჩვენ ვაჭრობას ვინარჩუნებთ არა ოქროს, ვერცხლის ან სხვა ძვირფასეულობის გამო; არც აბრეშუმის, სანელებლების და სხვა მატერიალური საქონლის გამო; არამედ ღმერთის პირველი ქმნილების – სინათლის – გამო, რათა ვეზიაროთ მსოფლიოს ყველა მხარეში წარმოქმნილ ნათელს.“

როდესაც ეს თქვა, იგი დადუმდა. ჩვენც ვდუმდით, რადგან გაოგნებული ვიყავით ესოდენ დამაჯერებლად მოთხრობილი უცნაური ამბების მოსმენით. იგი მიგვიხვდა, რომ ჩვენ რალაცის თქმა გვსურდა, მაგრამ საამისოდ მზად არ ვიყავით, ამიტომაც, ერთობ თავაზიანად ამ უხერხულობისგან გვიხსნა და ჩვენი მოგზაურობისა და თავგადასავლების ამბავთა გამოკითხვაზე გადავიდა. დასასრულს კი გვითხრა, რომ კარგი იქნებოდა, მოგვეფიქრებინა, თუ რა ვადით დარჩენის ნებართვა გვეთხოვა სახელმწიფოსათვის და შემოგვთავაზა, ამ მხრივ თავი არ შეგვეზღუდა, რადგან იგი თავად გამოითხოვდა ჩვენთვის სასურველი ვადით დარჩენის ნებართვას. ამ ნათქვამზე ჩვენ წამოვიშალეთ, რათა მისი მოსახსამის კალთას ვმთხვეოდით, მაგრამ მან ეს არ დაგვანება და დაგვტოვა. როცა ჩვენმა ხალხმა გაიგო, რომ სახელმწიფო შესაბამის პირობებს სთავაზობ-

და იმ უცხოელებს, რომლებიც დარჩებოდნენ, ჩვენ საკმაო ძალისხმევა დაგვჭირდა საიმისოდ, რომ მათ გემისათვის მიეხედათ და იმთავითვე არ ეთხოვათ მმართველისათვის ამ პირობების უზრუნველყოფა; დიდი გაჭირვებით ამ ნაბიჯისაგან თავი შევაკავებინეთ, ვიდრე ჩვენი მოქმედების გეზზე არ შეეთანხმებოდით.

ახლა თავს უკვე თავისუფალ ადამიანებად ვთვლიდით, რადგან დავინახეთ, რომ საბოლოოდ დალუპვის საფრთხე აღარ გველოდა. ამიტომაც ერთობ მხიარულად განვაგრძეთ ცხოვრება, გარეთ გავდიოდით, ვათვალიერებდით ქალაქს და მის შემოგარენს ნებადართულ საზღვრებში. მრავალი ადამიანი გავიცანით ქალაქში, რომლებიც მდაბიონი როდი იყვნენ. ისინი იმდენად კაცთმოყვარენი იყვნენ, იმდენად დიდი ნება და სურვილი ჰქონდათ, გულისკარი გაეღოთ უცხოელებისათვის, რომ ეს საკმარისი იყო ჩვენთვის, რათა დაგვეწყობოდა ყოველივე, რაც ჩვენს ქვეყნებში გვეჭირვასებოდა. ჩვენ განუწყვეტილად ვხვდებოდით მრავალ ისეთ რამეს, რაც დაკვირვებასა და აღწერას იმსახურებდა. სამყაროში რომ მართლაც ყოფილიყო სარკე, რომელიც ადამიანთა მზერას მიიპყრობდა, ის სარკე ეს ქვეყანა იქნებოდა. ერთ დღესაც, ჩვენი ჯგუფის ორი წევრი მიიწვიეს საოჯახო ლხინზე, როგორც ისინი მას უწოდებენ. ეს არის ერთობ ბუნებრივი, ღვთისმოსავი და ღირსეული ტრადიცია, რომელიც

აჩვენებს, რომ ეს ერი ყოველგვარ სიკეთეს არის ნაზიარები. მისი წესი ასეთია: ნებისმიერ კაცს, რომელსაც თავის სიცოცხლეში ჰყავს ოცდაათი ცოცხალი შთამომავალი, თითოეული სამი წლის ასაკზე მეტისა, შეუძლია გამართოს ამგვარი ლხინი, რომლის ხარჯებსაც სახელმწიფო ფარავს. ოჯახის მამა, რომელსაც აქ ტირსანი ეწოდება, ლხინამდე ორი დღით ადრე, თავისი სურვილის მიხედვით, დასახმარებლად მოიხმობს თავის სამ მეგობარს. მას ეხმარება ქალაქის ან იმ ადგილის მმართველიც, სადაც ლხინი იმართება. მასთან ასევე იკრიბება ოჯახის ორივე სქესის ყველა წევრი. ამ ორი დღის განმავლობაში ტირსანი აწარმოებს თათბირს ოჯახის ქონებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხების გარშემო. თუკი ოჯახის წევრებს შორის რაიმე უთანხმოება ან დავაა, ისინი ამას განიხილავენ და აგვარებენ. თუკი ოჯახის რომელიმე წევრი გაღატაკდა ან გასაჭირშია, მაშინ შესაბამის ზომებს იღებენ, რათა დაიხსნან ამ ვითარებიდან და ცხოვრებისათვის სათანადო სახსრებით უზრუნველყონ. თუკი ვინმე უკეთურებასაა მიცემული ან მანკიერად იქცევა, მას უსაყვედურებენ და გაჰკიცხავენ. ასევე, ამ დროს მიმდინარეობს მსჯელობა ქორწინებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და იმაზეც, თუ ცხოვრების რა გზა უნდა აირჩიოს ყოველმა მათგანმა. აქვე გაიცემა სხვადასხვა მსგავსი მითითებები და რჩევები.

ყოველივე ამას სრულად ესწრება მმართველი, რათა თავისი სახელისუფლებო ძალაუფლებით, აღსრულებაში მოიყვანოს ტირსანის განკარგულებები და ბრძანებები იმ შემთხვევაში, თუკი მას არ დაემორჩილებიან. თუმცა მათ იმდენად დიდი მონივნება და მორჩილება აქვთ ბუნების კანონებისადმი, რომ ამის საჭიროება იშვიათად დგება ხოლმე.

ტირსანი თავის ვაჟებს შორის გამოარჩევს ერთს, რომელმაც მის სახლში უნდა იცხოვროს. იმჟამიდან მოყოლებული იგი ვაზის ღერწმის ძედ იწოდება და თუ რატომ, ეს ქვემოთ გამოჩნდება. ღვინის დღეს, ოჯახის მამა ანუ ტირსანი, ღვთისმსახურების აღვლენის შემდეგ, შედის დიდ ოთახში, სადაც ღვინი იმართება. ამ ოთახის ზედა ბოლოში შემალლებაა მოწყობილი. კედლის პირისპირ, შემალლების შუაგულში კი დგას მისი სავარძელი და ტაბლა, რომლის წინ დაფენილია ხალიჩა. სავარძელს თავზე ადგას მრგვალი ან ოვალური ჩარდახი, რომელიც სუროსაგან არის დამზადებული. მათი სურო ჩვენებურთან შედარებით მოთეთროა და ვერცხლისფერ ვერხვის ფოთოლს წააგავს, თუმცა უფრო ხასხასაა, რადგან მთელ ზამთარს ჰყვავის. ჩარდახი საგულდაგულოდ არის მორთული ვერცხლით და სხვადასხვა ფერის აბრეშუმით, რომელიც სუროშია ჩანწული. ამ სამუშაოს ყოველთვის ოჯახის ქალიშვილები ასრულებენ. ჩარდახის თხემი კი აბრეშუმისა და ვერცხლის

თხელი ქსელით არის დაფარული. მაგრამ მისი ძირითადი შემადგენლობა ნამდვილი სუროსია. მას შემდეგ რაც მას ჩამოხსნიან, ოჯახის მეგობრები სამახსოვროდ იტოვებენ მის ფოთოლს ან ნაჭერს. ტირსანი თავისი შთამომავლების ან საგვარეულოს თანხლებით შემოდის; მამაკაცები მის წინ მიდიან, ქალები კი უკან მოსდევენ მას. იმ შემთხვევაში თუკი დედა, რომელმაც ეს შთამომავლები გააჩინა, ცოცხალია, მაშინ შემალლებაზე სავარძლის ზედა მარჯვენა მხარეს დგამენ ფარდულს, რომლის კარიც შებურულია და რომელშიც შუშის ფანჯარა არის გამოჭრილი. ის ოქროსფერად და ლურჯად არის მორთული; დედა ამ ფარდულში ჯდება და მას ვერავინ ხედავს.

შემოსვლისას ტირსანი სავარძელზე ჯდება. მთელი საგვარეულო კედლის გასწვრივ, შემალლების უკან და მის გარშემო, სქესის მიუხედავად, უფროს-უმცროსობის მიხედვით დგება. როდესაც იგი ჯდება, ოთახი უკვე სავსეა ხალხით, რომელიც სიჩუმესა და ნესრიგს იცავს. მცირედი შეყოვნების შემდეგ, ოთახის ქვედა კიდიდან შემოდის ტარატანი (იგივე მაცნე), რომელსაც ორი ჭაბუკი მოჰყვება. ამათგან ერთს მოაქვს იქაური კაშკაშა ყვითელი ეტრატის გრაგნილი, მეორეს კი ოქროს ყურძნის მტევანი, რომელსაც გრძელი ლერო ანდა ყუნწი აქვს. მაცნეს და ჭაბუკებს აცვიათ ზღვისფერი ატლასის მოსასხამები; თუმცა, მაცნეს

მოსასხამი ოქროთია მორთული და მას ქვედაბოლო დაჰყვება. სამგზის მისალმების, უფრო ზუსტად კი, ქედის მოდრეკის შედეგ, მაცნე შემალლებას უახლოვდება და ხელში იღებს გრაგნილს. ეს გრაგნილი მეფის სიგელია, რომლითაც ოჯახის მამას წლიური შემოსავალი და მრავალი პრივილეგია, გადასახადებისაგან გათავისუფლება და საპატიო ხარისხები ეწყალობება. ამიერიდან მას ეწოდება „საყვარელი მეგობარი და მევალე“. ამგვარ წოდებას მხოლოდ ასეთი შემთხვევებისას ანიჭებენ. როგორც ისინი ამბობენ, მეფე არავის მოვალეა, გარდა იმ კაცისა, რომელმაც მისი ქვეშევრდომების რიცხვი გაამრავლა. მეფის სიგელზე დასმულ ბეჭედზე, ოქროში მოჩუქურთმებული ან ამოტიფრულია თავად მეფის გამოსახულება. ამგვარი სიგელები, როგორც წესი, ყველა მსგავს შემთხვევაში იგზავნება, მაგრამ ისინი განსხვავდებიან გარემოებების, კერძოდ კი, ოჯახის წევრთა რაოდენობისა და პატივის მიხედვით. მაცნე ხმამალა კითხულობს სიგელს. სანამ ის კითხულობს, მამა ან ტირსანი ფეხზე დგას, მას ეხმარება მისი ორი ვაჟი, რომლებსაც თავადვე გამოარჩევს.

ამის შემდეგ მაცნე ადის შემალლებაზე და ოჯახის უფროსს სიგელს გადასცემს. მაშინ დამსწრეები თავიანთ ენაზე შესძახებენ: „ბედნიერია ბენსალემის ხალხი“. ამის თქმაზე მაცნე მეორე ყმანვილს გამოართმევს ყურძნის მტე-

ვანს, რომლის ყუნწი და მარცვლებიც ოქროსია. მარცვლები ნატიფად არის მომინანქრებული; თუკი ოჯახში მამაკაცები ჭარბობენ, მაშინ მარცვლები მენამულ ფერშია მომინანქრებული და ყუნწზე პატარა მზე არის დამაგრებული; ხოლო, თუკი ქალები ჭარბობენ, მაშინ ისინი მომწვანო-მოყვითალო ფერშია მომინანქრებული, ყუნწზე კი ნამგალა მთვარეა დამაგრებული. მარცვლები იმდენივეა, რამდენი შთამომავალიც ჰყავს ოჯახს. მაცნე ამ ოქროს მტევანსაც ტირსანს გადასცემს. ტირსანი მას მაშინათვე თავის იმ ვაჟს აძლევს, რომელიც მან თავის სახლში ცხოვრებისათვის ადრე გამოარჩია. ამის შემდეგ, ვაჟი მამის პატივისცემის ნიშნად, სახალხოდ ატარებს ამ მტევანს და ამიტომაც ეწოდება მას ვაზის ლერწმის ძე. ცერემონიალის დასასრულს მამა ანუ ტირსანი ოთახიდან გადის, მცირე ხნის შემდეგ კი ნადიმს უბრუნდება და ჩარდახის ქვეშ კვლავინდებურად მარტო ჯდება. არცერთი შთამომავალი, მიუხედავად მისი პატივისა თუ ხარისხებისა, მასთან არ ჯდება, თუკი ის სალომანის სახლის წევრი არ არის. ტირსანს მხოლოდ მისი მამრობითი სქესის შვილები ემსახურებიან, რომლებიც ყოველგვარ მომსახურებას დაჩოქილი ასრულებენ; ქალები კი მის უკან, კედელთან მიყრდნობილი დგანან. მისი შემალლების ქვემოთ, ოთახის გაყოლებაზე, ორივე მხრიდან, მაგიდები დგას, რომელზედაც მოპატივებული

სტუმრები სხედან; მათ უხვად და ლაზათიანად უმასპინძლებიან. სადილის შემდეგ (რომელიც დიდი ღვინის შემთხვევაში საათნახევარზე მეტ ხანს არ გრძელდება), მღერიან ჰიმნს, რომელიც სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს და მისი შემთხვევის შემოქმედების მიხედვით განსხვავდებოდეს (ზოგადად აქ ბრწყინვალე პოეზია აქვთ), თუმცა, ჰიმნის მთავარი მოტივი ყოველთვის ადამის, ნოესა და აბრაამის ხოტბაა; რომელთაგან პირველმა ორმა სამყარო დაასახლა, მესამე კი მორწმუნეთა მამამთავარი იყო. დასასრულს, ყოველთვის აღესრულება მაცხოვრის დაბადების სამადლობელი, რომლის დაბადებითაც ყოველი დაბადებული იკურთხა.

როდესაც სადილი სრულდება, ტირსანი კვლავ გადის ოთახიდან; განმარტოებისას იგი ლოცვებს აღავლენს, შემდეგ კი უკვე მესამედ შემოდის ოთახში, რათა დალოცოს ყველა თავისი შთამომავალი, რომლებიც უწინდებურად მის გარშემო დგანან. იგი თავისი სურვილისამებრ სახელებით სათითაოდ მოუხმობს მათ, თუმცა უფროს-უმცროსობის წესი აქაც იშვიათად ირღვევა. მოხმობილი პირი (ამ დროს მაგიდა უკვე ალაგებულია) სავარძლის წინ იჩოქებს, მამა მას თავზე ხელს ადებს და შემდეგი სიტყვებით ლოცავს: „ბენსალემის ძევ (ან ბენსალემის ასულო), ასე ამბობს მამაშენი; ამბობს ის კაცი, რომლის წყალობითაც სუნთქავ და ცოცხლობ; დაე, გადმოვიდეს შენზე მარა-

დიული მამის, მშვიდობის მეუფისა და სულიწმინდის მადლი; დაე, კარგი და ხანგრძლივი ყოფილიყოს შენი ამქვეყნიური მოგზაურობის დღეები“. ამ სიტყვებს იგი თითოეულ მათგანს ეუბნება. შემდეგ, თუ მის ვაჟებს შორის გამოჩეული დამსახურების ან სიქველის მქონენი არიან, იგი ორ მათგანს გამოარჩევს, კვლავ მოიხმობს თავისთან, მხარზე ხელს დაადებს და მდგომთ ეუბნება: „ვაჟებო, კარგია, რომ თქვენ დაიბადეთ, ადიდეთ ღმერთი და ბოლომდე ასე გააგრძელეთ“; ამ სიტყვებით თითოეულ მათგანს ხორბლის თავთავის ფორმის ძვირფას სამკაულს გადასცემს, რომელსაც ისინი ჩალმის ან ქუდის წინა მხარეს იმაგრებენ და ატარებენ. ამის შემდეგ მთელი დღის განმავლობაში უკრავენ მუსიკას, იმართება ცეკვები და სხვა იქაური გასართობი ღონისძიებები. ასეთია იმ ღვინის გამართვის სრული წესი.

ექვსი თუ შვიდი დღე იქნებოდა გასული და ქალაქის ერთ-ერთ ვაჭართან ხანმოკლე ნაცნობობა დავამყარე. მას იოაბინი ერქვა. იგი იყო ებრაელი და წინადაცვეთილი. იქ ებრაელთა რამდენიმე გვარი არსებობს, რომლებსაც საკუთარი რელიგიის აღმსარებლობის უფლებას აძლევენ. ალბათ, უკეთესიცაა, რომ ასე იქცევიან, რადგან აქაური ებრაელები, სხვა ადგილებში მცხოვრები ებრაელებისაგან მკვეთრად განსხვავდებიან თავისი გუნებით. თუკი სხვაგან მათ სძულთ ქრისტეს სახელი

და ფარული, თანდაყოლილი ღვარძლი აქვთ იმ ხალხისადმი, რომელთა შორისაც ცხოვრობენ; აქაურები პირიქით იქცევიან, ისინი დიდებულად ახასიათებენ ჩვენს მაცხოვარს და ძალზე უყვართ ბენსალემის ერი. ეს კაცი, რომელზედაც ვსაუბრობ, აღიარებდა, რომ ქრისტე ქალწულისაგან იშვა; რომ ის უფრო მეტი იყო, ვიდრე ადამიანი; იგი ამბობდა, რომ ღმერთმა ის თავისი ტახტის მცველ სერაფიმთა მთავრად განაწესა. ასევე, ქრისტეს ისინი უწოდებენ რძის გზას, მესია ელიას და სხვა მრავალ ამაღლებულ სახელს, რომელიც, მართალია, მის ღვთაებრივ დიდებულებას ვერ სწვდება, მაგრამ სხვა ებრაელების შეფასებებისაგან ერთობ განსხვავდება. ბენსალემის ქვეყანასთან მიმართებით კი, ამ კაცის ქებას დასასრული არ უჩანდა და ადგილობრივ ებრაელთა ტრადიციის მიხედვით, გულმოდგინედ სწამდა, რომ იქაური ხალხი აბრაამის საგვარეულოს ჩამომავალი იყო, მეორე ვაჟის მხრიდან, რომელსაც ნაქორს უწოდებენ; რომ მოსემ საიდუმლო კაბალით დაადგინა ბენსალემის ის კანონები, რომლებიც ახლაც მოქმედებს; რომ როდესაც მოვა მესია და დაიდგამს ტახტს იერუსალიმში, ბენსალემის მეფე მის ფერხთით იჯდება, ხოლო სხვა მეფეები ერთობ მოშორებით იქნებიან. ამ ებრაულ ოცნებებს თუ გვერდზე გადავდებთ, ეს კაცი იყო ბრძენი, ნასწავლი, დიდად კეთილ-

გონიერი და ბრწყინვალედ ერკვეოდა იმ ერის კანონებსა და ტრადიციებში.

ერთ დღეს, ჩვენი მომდევნო საუბრისას, მას ვუთხარი, რომ გაოცებული ვიყავი ოჯახის დღესასწაულის გამართვის ჩვეულების შესახებ ჩვენი ჯგუფის ზოგიერთი წევრის მონათხრობით, რადგან, მგონი, არასდროს მსმენოდა იმგვარი ზეიმის შესახებ, სადაც ბუნებას ესოდენ დიდ პატივს მიაგებენ. და რამდენადაც ოჯახის შექმნა საქორწინო კავშირით იწყება, მაინტერესებდა, მისგან გამეგო, თუ რა კანონები და ჩვეულებები ჰქონდათ ქორწინებასთან დაკავშირებით. ბოლომდე ინარჩუნებდნენ თუ არა ქორწინებას და იყო თუ არა მათში ერთცოლიანობა? იქ, სადაც მოსახლეობა მცირეა, როგორც ეს მათთან უნდა ყოფილიყო, როგორც წესი, მრავალცოლიანობას უშვებენ ხოლმე. ამაზე მან მიპასუხა:

„შენ უმიზეზოდ როდი აქებ ოჯახის დღესასწაულის იმ შესანიშნავ წესს. ჩვენ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ის ოჯახები, რომლებიც ამ დღესასწაულის მაღლის მონაწილენი არიან, განსაკვიფრებლად აღორძინდებიან და ჰყვანიან ხოლმე. ყური დამიგდე და გაიმბობ იმას, რაც ვიცი. გაიგებ იმას, რომ ცისქვეშეთში არავინ არის ბენსალემის ხალხზე უფრო უბინო, არც მათსავით სიბილწისა და სიბინძურისაგან თავისუფალი არის რომელიმე. ის მსოფლიოს ქალწულია. მახსოვს, თქვენს ერთ-ერთ ევრო-

პულ ნიგნში ნავიკითხე თქვენბური წმინდა მწირის შესახებ, რომელსაც სურდა, მრუშობის სული ეხილა და პატარა უშნო ეთიოპიელი გამოეცხადა. მაგრამ, თუკი იგი ბენსალემის უბინოების სულის ხილვას მოისურვებდა, მაშინ ის პატიოსანი და მშვენიერი ქერუბიმის სახით გამოეცხადებოდა. მოკვდავთა შორის არაფერია იმაზე უფრო პატიოსანი და წარმატადი, ვიდრე ამ ხალხის უმნიკვლო გონება და სული.“

„იცოდე ისიც, რომ მათში არ არის შფოთი, გარყვნილების სახლები, კურტიზანები და სხვა მსგავსი რამეები. ისინი გაოცებულნი და აღშფოთებულნი არიან, რომ თქვენ, ევროპელები, ამგვარ რამეებს უშვებთ. ისინი ამბობენ, რომ თქვენში ქორწინებამ მნიშვნელობა დაკარგა. ქორწინების მიზანი უნესო სურვილებისაგან თავშეკავებაა; ხოლო ბუნებრივი სურვილები კი ქორწინების წახალისებაა. მაგრამ როდესაც ადამიანებს ხელთ აქვთ საშუალებები თავიანთი გარყვნილი სურვილების დასაკმაყოფილებლად, ქორწინება აზრს კარგავს. აი, სწორედ ამიტომაც თქვენს შორის უამრავი მამაკაცია, რომელიც არ ქორწინდება და ქორწინების უღელს თავაშვებულ, ბინიერ და მარტოსულ ცხოვრებას ამჯობინებს; ხოლო მრავალი მათ შორის, ვინც ქორწინდება, ქორწინდება გვიან, როდესაც მათი საუკეთესო და ძალ-ლონით აღსავსე წლები უკვე გასულია. და როდესაც ქორ-

წინდებიან, მათთვის ქორწინება სხვა არაფერია, თუ არა გარიგება, რომლითაც ეძიებენ მოკავშირეს, მზითევს, ან პრესტიჟს. მისი მეშვეობით (თითქმის გულგრილად) მათ შთამომავლობის ყოლაც სურთ; და არა კაცისა და ქალის ერთგულებით განმსჭვალული საქორწინო კავშირი, როგორც ეს თავდაპირველად იყო დაფუძნებული. ისიც შეუძლებელია, რომ ისინი, ვინც ესოდენ უანგარიშოდ დახარჯეს თავისი ძალ-ლონის დიდი ნაწილი (ამავე მიზეზის გამო), ისევე აფასებდნენ შვილებს, როგორც სხვა პატიოსანი ადამიანები. ეს ვითარება არც ქორწინებაში ყოფნისას გამოსწორდება. ეს ასე იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუკი ამგვარ საქციელს ბუნებრივი მოთხოვნილებების მიზეზით შეეწყინებდით; მაგრამ არა, ის შემდგომაც იჩინს თავს და შეურაცხყოფს ქორწინებას.“

„იმ გარყვნილების ადგილებში სიარულისა და კურტიზანებთან ურთიერთობის გამო ისევე არ ისჯებიან დაოჯახებულები, როგორც დაუოჯახებლები. სხვადასხვაობის ბილნი ჩვეულება და გარყვნილი აღერსისადმი მიდრეკილება (რომლის დროსაც ცოდვა ხელოვნებად არის ქცეული) ქორწინებას მოსაწყენს ხდის და მას ერთგვარი ბეგარის ან უღელის სახეს აძლევს. მათ სმენიათ, რომ თქვენ ყოველივე ამას ამართლებთ, როგორც უფრო დიდი ბოროტების თავიდან აცილების საშუალებას, ისეთისა, როგორიცაა ცოლ-ქმრული ღალატი, ქაღწულთა

გაუპატიურება, არაბუნებრივი ვნებები და სხვ. თუმცა, ისინი ფიქრობენ, რომ ეს მცდარი სიბრძნეა და მას ლოტის შეთავაზებას უწოდებენ, რომელმაც თავისი სტუმრების ძალადობისგან გადასარჩენად (სოდომელებს) თავისი ქალიშვილები შესთავაზა. ისინი უფრო შორსაც მიდიან და ამბობენ, რომ ამგვარ დამოკიდებულებას თითქმის არ მოაქვს შედეგი. მანკიერებები და ნადილები კვლავაც მრავლად რჩება, აკრძალული ვნებები გახურებული ლუმელივითაა, რომელსაც საკვამურს თუ ჩაუქეცავ, ჩაქრება და თუკი გაუხსნი, კიდევ უფრო გაღვივდება. რაც შეეხება მამაკაცებს შორის სიყვარულს, ამგვარი რამ მათში საერთოდ არ არის. მიუხედავად ამისა, ქვეყნად არ არსებობს იმაზე უფრო ერთგული და უტყუი მეგობრობა, ვიდრე მათშია და თუკი ზოგადად ვიტყვი (როგორც ადრე აღვნიშნე), არსად წამიკითხავს, რომ რომელიმე ხალხი ისეთივე პატიოსანი იყოს, როგორც ეს ხალხია. ისინი ხშირად ამბობენ, რომ ის, ვინც უპატიოსნოა, საკუთარ თავს არ სცემს პატივს. ისინი იმასაც ამბობენ, რომ რელიგიის შემდეგ მანკიერებათა შეკავების მთავარი საშუალება საკუთარი თავის პატივისცემაა.“

ამის თქმა იყო და ეს კეთილი ებრაელი მცირე ხნით დადუმდა. მე მენადა მისთვის მესმინა, ვიდრე თავად მესაუბრა, მაგრამ იმასაც ვფიქრობდი, რომ თავაზიანი არ იქნებოდა,

მისი დუმისათვის ჩემი დუმილიც დამერთო და ამიტომ მხოლოდ ის ვუთხარი, რომ იმ სიტყვებით ვუპასუხებდი, რომლითაც სარეფთელმა ქვრივმა ელიას მიმართა: „იგი მოვიდა, რათა ჩვენთვის ცოდვები შეეხსენებინა“; რომ მე ვალიარებდი, რომ ბენსალემი უფრო უბინო იყო, ვიდრე ევროპა. ამ სიტყვებზე მან თავი დამიკრა და საუბარი შემდეგნაირად განაგრძო:

„ქორწინებასთან დაკავშირებით მათ, ასევე, მრავალი ბრძნული და ბრწყინვალე კანონი აქვთ. ისინი კრძალავენ პოლიგამიას. მათში დადგენილია, რომ დაუშვებელია ქორწინება ან ნიშნობა, თუკი წყვილის პირველი შეხვედრიდან ერთი თვე არ არის გასული. მშობლების თანხმობის გარეშე ქორწინება ბათილად არ ითვლება, თუმცა, მემკვიდრეებს ჯარიმა ეკისრებათ: ასეთი ქორწინების შედეგად გაჩენილ შვილებს ეკრძალებათ მშობლების სამკვიდროს მესამედზე მეტის მემკვიდრეობით მიღება. ერთ-ერთი თქვენებური კაცის მიერ დანერგულ ნიგნში ნავიკითხე გამოგონილი სახელმწიფოს შესახებ, სადაც წყვილს ნიშნობამდე შეუძლიათ, რომ ერთმანეთი შიშვლად იხილონ.“ აქ ეს არ მოსწონთ, რადგან ფიქრობენ, რომ ასეთი

* ერთმანეთი შიშვლად იხილონ — მინიშნება ინგლისელი ფილოსოფოსის თომას მორის (1478–1535 წწ.) ნაშრომზე „უტოპია“ (1516 წ.), რომლის ერთ-ერთ თავშიც აღწერილია წარმოსახვითი კუნძულ უტოპიის მაცხოვრებელთა საქორწინო ჩვეულებები (მთარგმ. შენიშვნა).

სიახლოვის შემდეგ შეუღლებაზე უარის თქმა აბუჩად აგდება იქნება. მაგრამ რადგან კაცს და ქალს სხეულზე მრავალი დაფარული ნაკლი შეიძლება ჰქონდეს, ამის გამოსარკვევად ისინი უფრო ცივილიზებულ გზას მიმართავენ. ყოველი ქალაქის მახლობლად ორი აუზი აქვთ მონყობილი (რომელთაც ადამისა და ევას აუზებს უწოდებენ), სადაც, კაცის ერთ-ერთ მეგობარს და ქალის ერთ-ერთ მეგობარს ბანაობისას შეუძლიათ ნახონ ისინი შიშვლები.“

ამ საუბარში რომ ვიყავით, მოვიდა ერთი კაცი, რომელიც მდიდრულ მოსახლამში იყო გამოწყობილი. მგონი, მაცნე უნდა ყოფილიყო. იგი ებრაელს გამოელაპარაკა, რის შემდეგაც ებრაელი მომიბრუნდა და მითხრა, „მომიტევით, საჩქაროდ მიბარებენ“. მომდევნო დილას იგი კვლავ მოვიდა ჩემთან, გახარებული ჩანდა და მითხრა: „ქალაქის თავს აცნობეს, რომ ერთი კვირის შემდეგ, დღეის სწორს, სალომონის სახლის ერთ-ერთი მამა ჩამოვა. აგერ უკვე თორმეტი წელია, რაც არც ერთი მათგანი აღარ გვინახავს. მართალია, მისი ჩამოსვლის შესახებ გამოცხადდა, მაგრამ ჩამოსვლის მიზეზი გასაიდუმლოებულია. კარგ ადგილს ვიშოვი თქვენთვის და თქვენი მეგობრებისათვის, რათა მისი შემოსვლა ნახოთ“. მე მაღლობა გადავუხადე მას და ვუთხარი, რომ ამ ამბავმა ძალზე გამახარა.

დადგა მისი შემოსვლის დღეც. ეს კაცი იყო საშუალო სიმაღლისა და ასაკის, სანდო-

მიანი შეხედულების, სახეზევე ეტყობოდა ადამიანების მიმართ თანაგრძნობა. მას ეცვა კობტა, შავი, ფართოსახელოებიანი ხალათი, რომელზედაც ლაბადა ჰქონდა წამოსხმული; მისი ქვედაბოლო საუცხოო თეთრი ტილოსაგან იყო შეკერილი და ტერფებამდე იყო ჩამოშლილი, მისი ქამარი და ყელსახვევიც იმავე ტილოსაგან იყო დამზადებული. მისი ხელთათმანები გულმოდგინედ იყო შეკერილი და ძვირფასი ქვით იყო დაკემსილი; მას ატმისფერი ხავერდის ფეხსაცმელი ეცვა. კისერი მხრებამდე შიშველი ჰქონდა. მისი ქუდი ჩაჩქანს ან ესპანურ მონტერას* ნააგავდა, რომლიდანაც ლამაზად ჩამოშლოდა ყავისფერი, დახუჭუჭებული კულულები. თმაზე ოდნავ უფრო ღია ფერის წვერი კი მრგვალად ჰქონდა შეკრეჭილი. იგი მოჰყავდათ მდიდრული, უბორბლო ეტლით, რომელიც ტახტრევანს ჰგავდა, ყოველი მხრიდან მასში ორი ცხენი იყო შებმული, რომლებიც მდიდრულად იყვნენ მოკაზმულნი ლურჯი ხავერდის ნაქარგით; ყოველი მხრიდან მას ასეთივე მორთულობის ორი ფარეში მოჰყვებოდა. ეტლი მთლიანად კედრისგან იყო დამზადებული, მოვარაყებული და ბროლით შემკული. გარდა ამისა, მისი წინა კიდე განყოფილი იყო ოქროს არშიიანი საფირონის ფილებით, უკანა

* მონტერა — მამაკაცის ერთგვარი ქუდი, რომელიც იბერიის ნახევარკუნძულზე იყო გავრცელებული (მთარგმ. შენიშვნა).

კიდე – პერუული ფერის ზურმუხტის ფილებით. ეტლის შუაგულის თავზე ოქროს მზე იყო გასხივოსნებული, რომელსაც წინ ფრთებგაშლილი პატარა ოქროს ქერუბიმი ამშვენებდა. ეტლი მოოქროსფერო-მოლურჯო ქსოვილით იყო მოფარდაგებული. მას წინ მიუძღოდა ორმოცდაათი მხლებელი, ყველანი ჭაბუკები იყვნენ, მათ ეცვათ მუხლებამდე ჩამოშლილი თეთრი ატლასის ფართო მოსასხამები და თეთრი აბრეშუმის წინდები; მათი ფეხსაცმელი ლურჯი ხავერდისა იყო და ამავე ფერის ხავერდის ქუდები ეხურათ, რომლებზედაც სხვადასხვა ფერის მშვენიერი ბუმბულები ცილინდრის მსგავსად მრგვალად იყო მოწნული. მათ შემდეგ, ეტლის წინ მოდიოდა ორი თავშიშველი კაცი, ისინი მთლიანად ტილოს სამოსში იყვნენ გამოწყობილნი, წელს ერტყათ ქამრები და ეცვათ ლურჯი ხავერდის ფეხსაცმელები, მათგან ერთს მოჰქონდა ეპისკოპოსის კვერთხი, მეორეს კი – მწყემსის კვერთხი. არც ერთი კვერთხი არ იყო ლითონისა, ეპისკოპოსის კვერთხი დამზადებული იყო ბალზამის ხისგან, ხოლო მწყემსის კვერთხი – კედარისაგან. არც წინიდან და არც უკნიდან ეტლს ცხენოსნები არ მიჰყვებოდნენ; ეს კი, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ თავიდან აერიდებინათ ხმაური და გნისაი. ეტლს, სრული შემადგენლობით, უკან მიჰყვებოდნენ ქალაქის მოხელეები და ადგილობრივი ამქრების ხელმძღვანელები. სალომანის სახლის წევრი

მარტო იჯდა ჩინებულ, ბამბის ლურჯ ბალიშებზე; ფერხითთ ეგო სხვადასხვა ფერის აბრეშუმის საუცხოო ხალიჩები, სპარსულის მსგავსი, მაგრამ მასზე უფრო მშვენიერი. მსვლელობისას იგი შიშველ ხელს მაღლა სწევდა, თითქოსდა ხალხს ლოცავდა, თუმცა ამას მღუმარედ აკეთებდა. ქუჩა საოცრად მონესრიგებული იყო; ალბათ, არასდროს არსებულა ისეთი ჯარი, რომელიც იმაზე უკეთესად დადგებოდა სამხედრო მწყობრში, როგორც ეს ხალხი იდგა. ქუჩის მსგავსად, არც ფანჯრებთან იდგა ბევრი ხალხი; ყოველ ფანჯარაში ისე იდგნენ, თითქოს ვინმეს ჩაემწყრივებინა.

როდესაც მსვლელობამ ჩაიარა, ებრაელმა მითხრა: „ვერ დავყოფ თქვენთან იმდენ დროს, რამდენსაც ვისურვებდი, ვინაიდან ქალაქმა ამ დიდებული პირის მიღების ღონისძიებაში გარკვეული მოვალეობები დამაკისრა“. სამი დღის შემდეგ, ებრაელი კვლავ მოვიდა და მითხრა: „სვებენიერი კაცი ბრძანდებით. სალომონის სახლის მამას თქვენი აქ ყოფნის შესახებ შეუტყვია და მიბრძანა, თქვენთვის მეთქვა, რომ მთელ თქვენს ჯგუფს თავისთან მიიღებს, ერთ-ერთ თქვენიანს კი, რომელსაც თავადვე შეარჩევთ, პირადად გაესაუბრება; მან შეხვედრა ზეგისთვის დანიშნა და ვინაიდან თქვენთვის თავისი ლოცვა-კურთხევის მოცემაც სურს, შეხვედრა დილით შედგება.“ ჩვენ დანიშნულ დღესა და საათზე გამოვცხადდით.

ჩემმა მეგობრებმა მასთან პირადად გასაუბრებისათვის მე ამირჩიეს. ჩვენ მას შესანიშნავ, მდიდრულად გაწყობილ, ხალიჩებით მოფენილ პალატაში შევხვდით. იქ სატახტო შემადღება არ იყო. იგი დაბალ, მდიდრულად მორთულ ტახტზე იჯდა, რომლის თავზეც ლურჯი სატინით მოქარგული ჩარდახი იდგა. იგი მარტო იყო, თუ არ ჩავთვლით ლამაზ თეთრ სამოსში გამოწყობილ ორ საპატოო ფარეშს, რომლებიც ტახტის ორივე მხარეს იდგნენ. მას იგივე ქვედაბოლო ეცვა, რაც ეტლში ჯდომისას; მაგრამ, ლაბადის ნაცვლად, ამჯერად ისეთივე ჩინებული შავი ფერის მანტია ჰქონდა წამოსხმული. როდესაც პალატაში შევედით, პირველი შესვლისას, თავი მდაბლად დავეუკართ ისე, როგორც დაგვარაგეს; ხოლო, როდესაც მის სავარძელს მივუახლოვდით, იგი წამოდგა და დალოცვის ნიშნად შიშველი ხელი წინ გამოიშვირა; ჩვენ ყველანი წელში მოვიხარეთ და მისი მანტიის კალთას ვემთხვიეთ. ამის შემდეგ დანარჩენები გაბრუნდნენ, მე კი დავრჩი. მან ოთახიდან ფარეშები დაითხოვა, თავისთან მომიხმო დასაჯდომად და ესპანურად შემდეგი რამ მითხრა:

„ღმერთმა დაგლოცოს შვილო ჩემო; მე შენ მოგიძღვნი ყველაზე დიდებულ ძვირფასეულობას, რომელიც კი მაქვს. ღმერთისა და მოყვასის სიყვარულის სახელით, გაგაცნობ სალომონის სახლის ჭეშმარიტ მდგომარეობას შემდეგი

თანმიმდევრობით: პირველ რიგში, მოგიხრობ მისი დაფუძნების მიზნის შესახებ. შემდეგ გაიბზობ იმ მზადებისა და ხელსაწყობის შესახებ, რომელიც ჩვენი სამუშაოებისათვის გვესაჭიროება. ასევე, მოგიყვები იმ ზოგიერთი საქმისა და მოქმედების შესახებ, რომლებსაც ჩვენი წევრები ახორციელებენ. დაბოლოს, იმ კანონებსა და წესებს გაგაცნობ, რომლებსაც ჩვენ ვიცავთ.

„ჩვენი გაერთიანების მიზანია ყოველი საგნის მიზეზთა და საიდუმლო ძალთა შესახებ ცოდნის მოპოვება, ადამიანთა სამფლობელოს საზღვრების გაფართოება, რათა მისთვის ყველაფერი შესაძლებელი გახდეს.“

„მზადება და ხელსაწყობები შემდეგნაირია: ჩვენ გვაქვს სხვადასხვა სიღრმის დიდი და ღრმა ქვაბულები; ამათგან ყველაზე ღრმა ქვაბულები 600 საყენი* სიღრმისაა. ზოგიერთი მათგანი დიდი გორაკებისა და მთების ქვეშ არის გათხრილი. ამრიგად, თუკი გორაკების სიღრმესა და ქვაბულების სიღრმეს დავაჯამებთ, ზოგიერთი მათგანი სამ მილზე მეტი სიღრმისაც კი გამოვა. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ მინის ზედაპირიდან მთის სიღრმე და ქვაბულის სიღრმე ერთი და იგივეა; ორივე ერთნაირად შორსაა მზისგან, ერთნაირად აკ-

* დედანშია *fathom*: ფატომი ანუ საზღვაო საყენი. ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული. 1 ფატომი = 6 ფუტს ანუ 182 სმ-ს (მთარგმ. შენიშვნა).

ლიათ ზეცის ნათელი და სუფთა ჰაერი. ამ ქვაბულებს ჩვენ ქვედა სფეროებს ვუწოდებთ. ჩვენ მათ ვიყენებთ სხვადასხვა რამეების შესადეებლად, გასამკვრიველად, გასაყინად და სხვადასხვა სხეულების შესანახად. ჩვენ მათ ასევე ვიყენებთ ბუნებრივი მალაროების იმიტირებისათვის და ვანარმოებთ რამდენიმე ახალი სახის ხელოვნურ ლითონს იმ გამოყენებული ნაერთებისა და მასალებისაგან, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე სწორედ ამ მალაროებში ვინახავთ. ზოგჯერ ჩვენ მათ ვიყენებთ (რაც შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ) გარკვეული დაავადებების სამკურნალოდ და ზოგიერთი განდეგილის სიცოცხლის გასახანგრძლივებლად, რომლებიც იქ ცხოვრებას არჩევენ და ადგილზე უზრუნველყოფილნი არიან ყოველგვარი საჭიროებით, ისინი მართლაც დიდხანს ცოცხლობენ; მათი მეშვეობით კი ჩვენ ბევრ რამეს ვსწავლობთ.“

„ჩვენ სხვადასხვანაირ ნიადაგში ვაწყობთ სამარხებს, სადაც ვინახავთ სხვადასხვა შემკვრელ ნივთიერებებს, როგორც ამას ჩინელები თავიანთი ფაიფურისათვის აკეთებენ. თუმცა, ჩვენ ამ მხრივ უფრო დიდი მრავალფეროვნება გვაქვს და ზოგიერთი მათგანი უფრო მაღალხარისხოვანია. ასევე, გვაქვს ნაირნაირი კომპოსტები და სასუქები მიწის გასანაყოფიერებლად.“

„გვაქვს მაღალი კოშკები, მათგან უმაღლესი დაახლოებით ნახევარი მილის სიმაღლისაა, ზოგიერთი მათგანი კი მაღალ მთებშია აშენებული. ამრიგად, თუკი მთისა და კოშკის სიმაღლეს დავაჯამებთ, ყველაზე მაღალი კოშკი, სულ მცირე, სამი მილის სიმაღლისა გამოვა. ამ ადგილებს ჩვენ ზედა სფეროს ვუწოდებთ, ხოლო ქვედა და ზედა სფეროებს შორის სივრცეს შუა სფეროს. ამ კოშკებს, მათი სხვადასხვა სიმაღლისა და მდებარეობის მიხედვით, ვიყენებთ საიზოლაციოდ, გასაყინად, შესანახად და სხვადასხვა ატმოსფერულ მოვლენებზე დასაკვირვებლად, როგორიცაა: ქარი, წვიმა, თოვლი, სეტყვა და ასევე ცეცხლოვანი მეტეორები. ზოგიერთ ადგილას, ამ კოშკებში ცხოვრობენ განდეგილები, რომლებსაც დროდადრო ვსტუმრობთ და დასაკვირვებელ ობიექტთა შესახებ მითითებებს ვაძლევთ.“

„გვაქვს დიდი ტბები, როგორც მარილიანი ისე მტკნარი წყლებით, რომლებსაც თევზისა და შინაური ფრინველის მოსაშენებლად ვიყენებთ. მათში სხვადასხვა ბუნებრივ სხეულებსაც ვმარხავთ, რადგან აღმოვაჩინეთ, რომ ბუნებრივი სხეულები განსხვავდებიან იმის მიხედვით, მინაში არიან დამარხულნი, მიწის სიღრმეში, თუ წყლის ქვეშ. ასევე, გვაქვს აუზებიც. მათგან ზოგიერთი განკუთვნილია მარილიანი წყლისაგან მტკნარი წყლის მისაღებად, დანარჩენები კი მტკნარი წყლისა-

გან მარილიანი წყლის გამოსაყვანად. ზღვის შუაგულში გვაქვს კლდეები, სანაპიროზე კი გვაქვს რამდენიმე ყურე იმგვარი სამუშაოებისათვის, რომლებიც ზღვის ჰაერს და ორთქლს საჭიროებენ. გვაქვს წყლის მძლავრი ნაკადები და წყალსადენები, რომლებიც მრავალგვარი მოძრაობების განხორციელებაში გვეხმარებიან; გვაქვს ძრავები, რომლებიც ქარის გაძლიერებას და სხვადასხვა მიმართულებით მის მოძრაობას უზრუნველყოფენ.“

„გვაქვს მრავალი ხელოვნური ჭა და შადრევანი, რომლებიც ბუნებრივი წყაროების და აბაზანების იმიტაციას წარმოადგენენ და შეიცავენ აჯასპს,* გოგირდს, ფოლადს, თითბერს, ტყვიას, გვარჯილას და სხვა მინერალებს; გვაქვს, ასევე, პატარა ჭაბურღილები სხვადასხვა მიწარეების გამოსაყვანად, სადაც წყლები უფრო სწრაფად იღებენ სასურველ თვისებებს, ვიდრე ჭურჭელში ან ავზებში. მათ შორის არის წყალი, რომელსაც ჩვენ სამოთხის წყალს ვუწოდებთ, რადგან ჩვენ ის ჯანმრთელობის და სიცოცხლის გახანგრძლივების უებარ საშუალებად ვაქციეთ.“

„გვაქვს დიდი და ფართო სახლები, სადაც ვახორციელებთ ისეთი ატმოსფერული მოვლენების იმიტირებას და დემონსტრირებას, როგორებიცაა: თოვლი, სეტყვა, წვიმა, ციურ

* აჯასპი - მძიმე ლითონის გოგირდმჟავა (მთარგმ. შენიშენა).

სხეულთა ხელოვნური წვიმები, ჭექა-ქუხილი, ელვა; ჰაერში ვახდენთ იმგვარი არსებების გენერაციას, როგორებიცაა ბაყაყები, მწერები და მრავალი სხვა.“

„გვაქვს ცალკეული პალატებიც, რომლებსაც ჯანმრთელობის პალატებს ვუწოდებთ, სადაც ჰაერს იმგვარად ვაზაფებთ, რომ ის კარგი და სასარგებლოა სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად.“

„დაავადებათა სამკურნალოდ და ადამიანის გამომშრალი სხეულის აღსადგენად გვაქვს სხვადასხვა ნარეების ჩინებული და დიდი აბაზანები, რომლებიც ამაგრებს მყესებს, აჯანსაღებს სასიცოცხლო ორგანოებს და მთელს სხეულს.“

„გვაქვს დიდი და მრავალფეროვანი ხილნარები და ბალები, სადაც სილამაზეზე მეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ გრუნტის და ნიადაგის ნაირსახეობას, რაც სასარგებლოა სხვადასხვა ხეებისა და მცენარეებისთვის. ზოგიერთ ფართო ბაღში დარგული ხეებისა და კენკროვნებისაგან სხვადასხვა სახის სასმელებს ვაყენებთ. გარდა ამისა, ცალკე გვაქვს ვენახებიც. ამ ბაღებში ჩვენ ვახორციელებთ, როგორც გარეული, ისე ხეხილოვანი მცენარეების დამყნობასა და შეჯვარებას, რამაც კარგი შედეგები მოგვიტანა. იმავე ხილნარებსა და ბაღებში, ცოდნის მეშვეობით, ჩვენ შეგვი-

ძლია, ხეები და ყვავილები შესაბამის სეზონზე ადრე ან გვიან ავაყვავოთ, ბუნებრივზე უფრო სწრაფად გავზარდოთ და ნაყოფი მოვიწიოთ. ცოდნის მეშვეობით ჩვენ ბუნებრივზე უფრო დიდი ჯიშები გამოგვყავს, მათი ნაყოფიც უფრო დიდი და ტკბილია და ბუნებრივისგან განსხვავებული გემო, სუნი, ფერი და ფორმა აქვთ. ბევრი მათგანი ჩვენ ისე გამოგვყავს, რომ სამედიცინო დანიშნულებისათვისაც ვიყენებთ.“

„ჩვენ გაგვაჩნია საშუალებები, რომ სხვადასხვა მცენარეები ნიადაგის შერევის შედეგად, თესლის გარეშე გავზარდოთ; გავრცელებული ჯიშებისაგან განსხვავებული, სხვადასხვა მცენარეები გამოვიყვანოთ და ერთი ხე ან მცენარე სხვა ჯიშის ხედ ან მცენარედ ვაქციოთ.“

„გვაქვს ყველანაირი სახის პარკები და ნაკრძალები ცხოველებისა და ფრინველებისათვის. ისინი მხოლოდ სანახაობისა და სილამაზის გამო როდი გვყავს, მათ გაკვეთებისა და ცდებისათვისაც ვიყენებთ, იმის გასარკვევად, თუ რა სახის ზემოქმედება არის შესაძლებელი ადამიანის სხეულზე. ამ მხრივ, ჩვენ მრავალი საოცარი შედეგი მივიღეთ: ჩვენ შეგვიძლია სიცოცხლის შენარჩუნება, მაშინაც კი, როცა სხვადასხვა, თქვენი აზრით, სასიცოცხლო ორგანოები, კვდიბიან და მათი ამოკვეთა ხდება; შეგვიძლია სიცოცხლის დაბრუნება მათთვის,

რომლებიც გარეგნულად მკვდრები არიან და სხვა. ჩვენ მათზე ვცდით მრავალ სანამლაესა და ნამალს, ასევე, ვატარებთ ქირურგიულ და სამედიცინო ცდებს. ცოდნის მეშვეობით გამოგვყავს ბუნებრივი სახეობისაგან განსხვავებული ზომის, უფრო დიდი ან უფრო პატარა არსებები და პირიქით, გამოგვყავს ჯუჯავი ჯიშები, რომლებიც აღარ იზრდებიან. ბუნებრივ სახეობაზე მეტად ნაყოფიერსა და ნაყოფიანს ვხდით მათ ანდა პირიქით, უნაყოფო და გამრავლების უნარის არმქონე არსებები გამოგვყავს. გამოგვყავს არსებები, რომელთაც განსხვავებული ფერი, ფორმა, ქცევა და სხვა ნიშნები აქვთ. ჩვენ აღმოვაჩინეთ სხვადასხვა სახეობების შერევისა და შეწყვილების საშუალებები, რის შედეგადაც მრავალი ახალი სახეობა მივიღეთ, რომლებიც, გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, უნაყოფონი არ არიან. ჩვენ გახრწნილი სხეულებისაგან გამოგვყავს, სხვადასხვა სახეობის გველები, ჭიები, მწერები, თევზები, რომელთაგანაც შემდეგ ზოგიერთს ვავითარებთ სრულყოფილ არსებებად, როგორებიცაა – ცხოველები და ფრინველები. მათ სქესი და გამრავლების უნარი აქვთ. ჩვენ ამას შემთხვევით არ ვაკეთებთ, რადგან წინასწარ ვიცით, თუ რა სახეობის არსებას მივიღებთ კონკრეტული მასალისა და შეჯვარებისაგან.“

„ჩვენ ასევე გვაქვს სპეციალური აუზები, სადაც ფრინველებისა და ცხოველების მს-

გავსად, ცდებს ვატარებთ თევზებზე. გვაქვს ადგილები, სადაც ვზრდით და ვამრავლებთ იმგვარ ჭიებსა და მწერებს, რომლებიც საგანგებო დანიშნულებისთვის გამოიყენება, როგორც თქვენს შემთხვევაში, თქვენური აბრეშუმის ჭიები და ფუტკრები.“

„დიდხანს არ შეგაყოვნებთ ჩვენი საამქროების, საცხოვების და სამზარეულოების შესახებ საუბრით, სადაც მზადდება სხვადასხვანაირი სასმელები, პური, ხორცი, რომელთაც განსაკუთრებული თვისებები აქვთ. ღვინოს ყურძნისაგან ვამზადებთ, წვენებს კი ხილის, მარცვლეულის და ფესვებისაგან, ასევე, თაფლის, შაქრის, მანანის, მშრალი და დაჩირებული ხილის ნაზავებისაგან; ისევე როგორც ხეების წვენიდან და ლერწმის მერქნისაგან. ეს სასმელები დიდხანს ძლებს, ზოგიერთი მათგანი ორმოცი წლის მანძილზეც კი ინახება. ჩვენ ვაყენებთ სასმელებს სხვადასხვა სამკურნალო მცენარეების, ფესვებისა და სანელებლებისაგან; ვურევთ მათში სხვადასხვა ხორცეულობასა და თეთრ ხორცს; ამგვარად, ზოგიერთი მათგანი ერთდროულად საკვებიცაა და სასმელიც. ასე რომ, ზოგიერთი ასაკოვანი ამ სასმელებს ამჯობინებს და პურით და ხორცით ნაკლებად ან საერთოდ არ იკვებება. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვცდილობთ სასმელების დაყენებას წვრილი ნივთიერებებისაგან, რომლებიც სხეულს შეეთვისებიან, და-

საღვინად კი მწველი, მძაფრი და უსიამოვნო არ იქნება. ამრიგად, როცა მათ ხელზე ზემოდან ისხამენ, სითხე ხელისგულამდე გაინოვება და პირში მსუბუქ გემოს ტოვებს. გვაქვს წყლები, რომლებსაც ასეთივე გზით ვამუშავებთ, რის შედეგადაც ისინი ნოყიერებას იძენენ და მათგან მართლაც ისეთი ჩინებული სასმელი დგება, რომ მრავალი ადამიანი მის გარდა არაფერს სვამს. პურს ვამზადებთ სხვადასხვაგვარი ხორბლის, ფესვების და მარცვლეულისგან, ისევე როგორც გამომშრალი ხორცისა და თევზისაგან და ვკმაზავთ მრავალგვარი ფოთლეულობით და სანელებლებით. ამგვარად, ზოგი მათგანი მადს ძალზე აღვივებს, ზოგიც კი ანაყრებს და მრავალი ადამიანი მხოლოდ ამით კმაყოფილდება, ისე რომ ხორცი არც სურთ და დიდხანსაც ცოცხლობენ. რაც შეეხება ხორცს, ჩვენ მას ვბეგავთ, ვარბილებთ და ვახმობთ, მაგრამ ამით საერთოდ არ ვაფუჭებთ მას, რადგან მუცლის ღრუს მცირე მხურვალეობაც კი მას ატენიანებს ისევე, როგორც სხვაგვარად მომზადებულ ხორცს ძლიერი მხურვალეობა დაატენიანებდა. გვაქვს რამდენიმე სახეობის ხორცი, პური და სასმელი, რომლის მიღების შემდეგაც ადამიანებს ხანგრძლივად შეუძლიათ იმარხულონ; გვაქვს ისეთებიც, რომლებიც ამკვრივებს და აძლიერებს ადამიანების სხეულს, რის გამოც მათ უფრო დიდი ძალ-ღონე აქვთ, ვიდრე ჩვეულებრივ შემთხვევაში ექნებოდათ.“

„ჩვენ გვაქვს აფთიაქები, ანუ წამლების საამქროები და რადგან ჩვენში მცენარეებისა და ცხოველების უფრო დიდი მრავალფეროვნებაა, ვიდრე თქვენთან, ევროპაში (ჩვენ ვიცით, თუ რა გაქვთ იქ), ადვილად მიხვდებით, რომ ჩვენთან ნივთიერებების, სამკურნალო საშუალებების და წამლების ინგრედიენტების უფრო დიდი მრავალფეროვნებაც არის. ისინი სხვადასხვა სიძველისანი არიან და ხანგრძლივი დროის მანძილზე მზადდებიან. მომზადებისას, ჩვენ მათ ნელ ცეცხლზე კარგად გამოვხდით და მიღებულ ნივთიერებებს სხვადასხვა საწურებში დაწურვის გზით ვახარისხებთ. ამავდროულად, გვაქვს მათი შეზავების ზუსტი რეცეპტები, რომლის მეშვეობითაც მათი იმგვარი შერევა ხდება, რომ ბუნებრივ ნივთიერებებს ემსგავსებიან.“

„გვაქვს სხვადასხვა მექანიკური ტექნოლოგიები, რომლებიც თქვენთან არ არის; მათგან ვამზადებთ ისეთ მასალებს, როგორებიცაა: ქალაღდი, ტილო, აბრეშუმში, მრავალგვარი ქსოვილები, საოცრად კრიალა ბუმბულისგან დამზადებული დახვეწილი ნამუშევრები, შესანიშნავი საღებავები და სხვ. გვაქვს საამქროები, როგორც ფართო, ისე ვიწრო მოხმარების ნივთების დასამზადებლად. უნდა იცოდეთ, რომ ზემოთ დასახელებული ნივთების უმრავლესობას მთელს სამეფოში მოიხმარენ, თუმცა ჩვენი გამოგონების შედეგებს თარგებად და ნიმუშებად ვიტოვებთ.“

„გვაქვს მრავალგვარი სახის ღუმელები, რომლებიც გამოყოფენ ძალიან ძლიერ და სწრაფ, ძლიერ და უცვლელ, რბილ და სუსტ, მბერველ, დუნე, მშრალ, ნოტიო და სხვაგვარ სითბოს. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ვანარმობთ მზის და სხვა ციური სხეულების მსგავს მხურვალებას, რომელსაც სხვადასხვაგვარად ვცვლით, სფეროებივით ვზრდით და ვაპატარავებთ და განსაცვიფრებელ შედეგებს ვიღებთ. გარდა ამისა, სითბოს ვანარმობთ ნაკელისაგან, ცხოველების ფაშვისა და ენისგან, ასევე მათი სისხლისა და სხეულისგან, ქორფად მოთიბული თივისა და ბალახისაგან, დაშლილი კირისაგან და სხვა. გვაქვს ხელსაწყობი, რომლებიც ერთი მოძრაობით წარმოქნიან მხურვალებას; ასევე, დამატებითი ადგილები მყარი იზოლაციისათვის; მინისქვეშა ადგილები, სადაც ხელოვნურად ან ბუნებრივად ხდება სითბოს გამომუშავება. ამ სხვადასხვა სახის სითბოებს ჩვენ დაგეგმილი სამუშაოს საჭიროებათა შესაბამისად ვიყენებთ.“

„ჩვენ ასევე გვაქვს სინათლის სახლები, სადაც სინათლეზე, გამოსხივებაზე და ფერებზე ცდებს ვახორციელებთ. უფრო და გამჭირვალე ობიექტებისაგან შეგვიძლია, გამოვსახოთ სხვადასხვა ფერის ობიექტები; ცისარტყელისებურად კი არა, როგორც ეს ძვირფასი ქვებისა და პრიზმების შემთხვევაშია, არამედ ერთმანეთისაგან განცალკევებულად. ჩვენ

შეგვიძლია სინათლის გაძლიერება და შორ მანძილზე მისი გადაცემა, რა დროსაც ის ისეთ სიკაშკაშეს ინარჩუნებს, რომ მის ფონზე პატარა ნერტილების და ხაზების გარჩევაც კი შესაძლებელია. აქვე ვახორციელებთ სინათლის მრავალგვარ გაფერადებას: ილუზორულს და მოჩვენებითს ვხდით ფორმების, ზომების, მოძრაობების და ფერების მხედველობით აღქმას; ასევე, ვახდენთ ჩრდილების ყოველგვარი სახის გამჟღავნებას. ჩვენ აღმოვაჩინეთ თქვენთვის უცნობი, მრავალფეროვანი საშუალებები, რომლითაც ვიღებთ სინათლეს სხვადასხვა სხეულებისაგან. ჩვენ ვიპოვეთ საშუალებები, რომლითაც შეგვიძლია ობიექტების დანახვა შორ მანძილზე, როგორც ზეცაში ისე სხვა შორეულ ადგილებში; შეგვიძლია ახლო ობიექტები შორიდან დავინახოთ, ხოლო შორეული ობიექტები კი ახლოდან და, ამგვარად, ილუზორული მანძილები წარმოვქმნათ. გვაქვს ხელსაწყოები, რომელთა შესაძლებლობებიც ბევრად აღემატება მოხმარებაში არსებული სათვალეებისა და ჭოგრიტების შესაძლებლობებს; გვაქვს შუშები და საშუალებები, რომლითაც შეგვიძლია სრულყოფილად და მკაფიოდ დავინახოთ მცირე და წვრილი სხეულები, როგორცაა მცირე მწერების, ჭიების და მარცვლეულის ფორმა და ფერი ან ძვირფასი ქვების ის ბზარები, რომელთა დანახვაც სხვაგვარად შეუძლებელია; შეგვიძლია დავაკვირდეთ შარდ-

სა და სისხლში არსებულ ნივთიერებებს, რაც სხვა საშუალებებით შეუძლებელია. ჩვენ ვქმნით ხელოვნურ ცისარტყელებს, სინათლის რკალურებს და წრეებს. ვახდენთ ობიექტების ხილული სხივების არეკვლას, რეფრაქციას და გადიდებას.“

„გვაქვს ყოველგვარი სახის ძვირფასი ქვა. მათგან მრავალი ძალიან ლამაზია და თქვენთვის უცნობია; ასევე, გვაქვს ბროლი და სხვადასხვა სახის შუშები; მათ შორისაა მინად ქცეული ლითონი და სხვა ისეთი მასალები, რომლებსაც თქვენ არ იცნობთ. ასევე, მრავალი წიაღისეული და არასრულყოფილი მინერალები, რომლებიც თქვენთან არ მოიპოვება. გვაქვს, როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური, საოცარი ძალის მქონე მაგნიტები და სხვა იშვიათი ქვები.“

„ჩვენ ხმოვანების სახლებიც გვაქვს, სადაც ვავარჯიშებთ და ვაჩვენებთ ყოველგვარი სახის ფლერადობებს და მათ წარმოშობას. გვაქვს თქვენთვის უცნობი, ოთხხმიანი და მცირეტაქტიანი ჰარმონიები; სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტები, რომლებიც ასევე უცნობია თქვენთვის, ხოლო ზოგიერთი მათგანი კი უფრო ტკბილხმოვანია, ვიდრე თქვენებური საკრავები; ასევე, ნატიფი და ტკბილი ხმოვანების ზარები და ზანზალაკები. ჩვენ მცირე ხმებს დიდად და დაბლად ვაქცევთ, ხოლო დიდ ხმებს მცირედ და წვრილად; შეგვიძლია,

რომ საწყისისეულ სრულ ხმებს სხვადასხვაგვარი თრთოლვა და უღერადობა შეეძინოთ. ჩვენ ვასრულებთ და ვბაძავთ ცხოველებისა და ფრინველების ყველა დანანვერებულ უღერადობას, ბგერას, ხმასა და ტონს. გვაქვს გარკვეული ხელსაწყობები, რომლებიც ყურზე დამაგრებისას დიდად ამახვილებენ სმენას. გვაქვს სხვადასხვა უჩვეულო და ხელოვნური ექობები, რომლებიც ხმის მრავალჯერად უკუფენას ახდენენ და თითქოს გაიტყორცნიან მას; მათ შორის, ზოგიერთი გამოცემულ ხმას აძლიერებს, ზოგი ამკვეთრებს, ზოგიც აბოხებს; ზოგიერთი მათგანი კი ასხვაფერებს ხმას და მას შეცვლილი ბგერითა და დანანვერებით გადმოსცემს. ჩვენ იმის საშუალებაც გვაქვს, რომ ხაზებისა და მილების მეშვეობით გადავცეთ ხმა სხვადასხვა მიმართულებებსა და მანძილებზე."

"გვაქვს სურნელების სახლები; ამასთან ერთად, ვამუშავებთ გემოებსაც. ალბათ, უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ შეგვიძლია სუნის გამრავლება. ჩვენ ხელოვნურად წარმოექმნით მას. შეგვიძლია, ნებისმიერ სუნს, ჩვეულისაგან განსხვავებული არომატი მივცეთ. ასევე, ვახორციელებთ გემოს იმიტირებასაც ისე, რომ ნებისმიერი ადამიანი შეიძლება მოტყუდდეს. ამავე სახლში გვაქვს საკონდიტროც, სადაც მზადდება ყველანაირი სახის მშრალი და წვნიანი ტკბილეულობა, მშვენიერი ღვინოები, რძე,

ხორცის წვნიანები და სალათები. ამ მხრივაც ჩვენ თქვენზე ბევრად უფრო დიდი მრავალფეროვნება გვაქვს."

"გვაქვს სამანქანო სახლები, სადაც მზადდება ყველანაირი სახის მოძრაობისათვის საჭირო მანქანები და ხელსაწყობები. იქ ჩვენ ვახორციელებთ იმაზე უფრო სწრაფი მოძრაობების იმიტირებასა და გამოცდას, ვიდრე თქვენებური მუშკეტის გასროლა ან სხვა ხელსაწყოს მოძრაობაა. მცირე ძალისხმევით, ბორბლებისა და სხვა საშუალებების მეშვეობით, შეგვიძლია მოძრაობის გაძლიერება, რომელიც თქვენებურზე უფრო მძლავრი და დამანგრეველია და ალემატება თქვენი ზარბაზნებისა და ბასილისკოების* შესაძლებლობებს. ჩვენ ასევე ვანარმოებთ ყოველგვარი სახის ქვემებს, საომარ მანქანებსა და ხელსაწყობებს; ასევე, დენთის ახალ ნარევებსა და ნაერთებს, ბერძნულ ცეცხლს, რომელიც უქრობელად ინვის წყალზე; მრავალფეროვან შუშხუნებს, რომლებსაც ვიყენებთ, როგორც სანახაობისათვის, ისე პრაქტიკული დანიშნულებისათვის. ჩვენ ვახორციელებთ ფრინველების ფრენის იმიტაციასაც და ვიცნობთ ჰაერში ფრენის თავისებურებებს; გვაქვს გემები და ნავები, რომლებიც წყალქვეშ ცურავენ და წყალგამძენი არიან, ასევე, საცურაო ქამრები და სხვა დამხმარე

* ბასილისკოები – გვიანი შუა საუკუნეების პერიოდის ზარბაზნის ერთ-ერთი სახეობა (მთარგმ. შენიშვნა).

საშუალებები. გვაქვს სხვადასხვა საკვირველი საათები და სხვა, პერიოდულ და მუდმივ მოძრაობაზე დამყარებული ხელსაწყოები. ჩვენ ვახდენთ ცოცხალი არსებების მოძრაობათა იმიტირებას ადამიანების, ცხოველების, ფრინველების, თევზების და ქვეწარმავლების მაგალითზე; გვაქვს ურიცხვი რაოდენობის სხვა მოძრაობები, რომლებიც განგაცვიფრებენ თავიანთი წონასწორობით, სიზუსტითა და დახვეწილობით.“

„გვაქვს მათემატიკის სახლი, რომელიც უზრუნველყოფილია ყოველგვარი დახვეწილი გეომეტრიული და ასტრონომიული ხელსაწყოებით.“

„გვაქვს მცდარი შეგრძნებების გამოწვევის სახლები, სადაც წარმოვადგენთ მოტყუების, მცდარი შთაბეჭდილებების შექმნის, შეცდომაში შეყვანის და ილუზიის ხელოვნებებს და მათ მცდარობას. ადვილად დამეთანხმებით, რომ, რამდენადაც მრავალი ჭეშმარიტად ბუნებრივი მოვლენის შესახებ გვაქვს ცოდნა, რაც ალფრთოვანებას იწვევს, ასევე შეგვიძლია, მრავალნაირი გზით გამოვიწვიოთ მცდარი შეგრძნებები, თუკი ამ მოვლენებს შევნიღბავთ და გავირჯებით, რომ ისინი სასწაულებად წარმოვაჩინოთ. მაგრამ ჩვენ იმდენად გვჭულს თაღლითობა და ტყუილები, რომ ჩვენს ნებისმიერ წევრს მკაცრად აკრძალული აქვს და შერცხვენა და სახდელის დაკისრება

ემუქრება, თუკი შელამაზებს ან გააზვიადებს რაიმე ბუნებრივ მოვლენას. მან მოჩვენებითი იდუმალების გარეშე უნდა წარმოაჩინოს ის ისე, როგორც არის.“

„შვილო, ესენია სალომონის სახლის სიმდიდრეები. რაც შეეხება ჩვენი ნევრების სხვადასხვა საქმეებსა და მოვალეობებს, ისინი შემდეგნაირია: თორმეტი ჩვენთაგანი, სხვა ერების წარმომადგენელთა სახელით (რადგან საკუთარ თავს არ ვააშკარავებთ), უცხო ქვეყნებში მოგზაურობს და ყველა კუთხიდან ჩამოაქვთ ნიგნები, ჩანანერები და ცდების ნიმუშები. მათ ნათლის ვაჭრებს ვუწოდებთ.“

„სამი ჩვენგანი აგროვებს სხვადასხვა ნიგნებში აღწერილ ცდებს. მათ ჩვენ მტაცებლებს ვუწოდებთ.“

„სამი წევრი აგროვებს ყოველგვარი მექანიკური ხელოვნების და თავისუფალი მეცნიერებების ცდებს, ისევე როგორც იმ პრაქტიკულ ცოდნებს, რომლებიც ხელოვნების სფეროში არ არის შეტანილი. მათ ჩვენ საიდუმლოთა მაძიებლებს ვუწოდებთ.“

„მომდევნო სამეული იმ ახალ ცდებს ატარებს, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევენ. მათ ჩვენ პიონერებს ანდა მალაროელებს ვუწოდებთ.“

„სამი წევრი წინა ოთხი ჯგუფის ცდების შედეგების დასახსრვას და ცხრილებში ასახვას ახორციელებს იმისათვის, რათა უფრო

ცხადი სურათი შეიქმნას დაკვირვებებისა და აქსიომების გამოსატანად. მათ ჩვენ შემდგენლებს ვუწოდებთ.

„სამ წევრს კი ევალება, შეისწავლოს სხვა წევრების მიერ განხორციელებული ცდები. ისინი მსჯელობენ იმის შესახებ, თუ რა გამოადგება ამ ცდებიდან ადამიანს ცხოვრებისთვის და ცოდნის გაღრმავებისთვის, როგორც საქმისათვის, ისე სხვადასხვა მოვლენების მიზეზთა გასაგები ახსნისათვის, ბუნებრივი მოვლენების გამოცნობისათვის და სხვადასხვა სხეულების თვისებებისა და შემადგენლობის ადვილად გამოაშკარავებისათვის. მათ ჩვენ მწყალობლებს ანდა კეთილისმყოფელებს ვუწოდებთ.“

„მას შემდეგ, რაც ჩვენი წევრების სრული შემადგენლობის მონაწილეობით სხვადასხვა შეხვედრები და თათბირები იმართება, რათა განვლილი სამუშაოები და დაგროვილი შრომები შეფასდეს, სამი ჩვენიანი, ყოველივე ამის საფუძველზე, ახალი ცდების მიმართულებებს განსაზღვრავს, რომლებიც უფრო დიდი მნიშვნელობისა და წინა კვლევებზე უფრო ღრმად შეისწავლის კონკრეტული მოვლენის ბუნებას. მათ ჩვენ ლამპრებს ვუწოდებთ.“

„სხვა სამი წევრი ამ დაგეგმილ ცდებს ახორციელებს და მათ შესახებ ანგარიშს ამზადებს. მათ ჩვენ შთამაგონებლებს ვუწოდებთ.“

„დაბოლოს, გვყავს სამი წევრი, რომლებსაც, უკვე აღმოჩენილი მასალები, ცდების მეშვეობით, უფრო დიდ დაკვირვებებში, აქსიომებში და აფორიზმებში გადაჰყავთ. მათ ჩვენ ბუნების განმმარტებლებს ვუწოდებთ.“

„იმასაც მიხვდებოდით, რომ გვყავს, შეგირდები და მოსწავლეები იმისათვის, რომ ჩვენი წევრების საქმის შემკვიდრეობითობა არ შეწყდეს. გარდა ამისა, გვყავს ურიცხვი მსახურები და შემწეები, როგორც კაცები ისე ქალები. ჩვენ ვმოქმედებთ შედეგნაირად: ვითაბირობთ, ჩვენს მიერ შექმნილი გამოგონებებიდან და მოპოვებული ცოდნიდან რა უნდა გამოქვეყნდეს და რა არა; შემდეგ ყველანი ფიცს ვდებთ, რომ საიდუმლოდ შევინახავთ იმას, რისი გასაიდუმლოებაც საჭიროდ მივიჩნით; ამ საიდუმლო ცოდნიდან, დროაღრო გარკვეულ ცოდნას ვუმხელთ სახელმწიფოს, გარკვეულს კი არა.“

„რაც შეეხება ჩვენს წესებსა და ჩვეულებებს, გვაქვს ორი დიდი და ჩინებული პალატა. ერთ მათგანში თავმოყრილია უფრო იშვიათი და საუცხოო გამოგონებების თარგები და ნიმუშები; მეორეში კი მოთავსებულია ყველა დიდი გამოგონებლის ქანდაკებები. იქ არის თქვენებური კაცის, კოლუმბის ქანდაკება, რომელმაც დასავლეთის ინდოეთი აღმოაჩინა, ასევე გემის გამოგონებლის ქანდაკება. იმ თქვენებური ბერის ქანდაკებაც არის,

რომელმაც ქვემეხი და დენთი გამოიგონა.* აქვეა მუსიკის გამოგონებლის, დამწერლობის გამოგონებლის, ბეჭდვის გამოგონებლის, ასტრონომიული დაკვირვებების გამოგონებლის, ლითონის დამუშავების გამოგონებლის, შუშის გამოგონებლის, აბრეშუმის ჭიის გამოგონებლის, ღვინის გამოგონებლის, ხორბლისა და პურის გამოგონებლის, შაქრის გამოგონებლის ქანდაკებები. მათ შესახებ ჩვენ უფრო ზუსტი გადმოცემა მოგვეპოვება, ვიდრე თქვენ. ამასთან ერთად, გვყავს მრავალი ჩვენებური წარმოშობის გამოგონებელი, რომელთაც ჩინებული ნამუშევრები აქვთ შექმნილი; და რადგან თქვენ ისინი არ გინახავთ, მათი აღწერა დიდ დროს წაიღებს. გარდა ამისა, შესაძლოა ეს აღწერები სწორად ვერ გაიგოთ და ადვილად შეცდეთ. ყოველი ღირებული გამოგონებისათვის ჩვენ გამოგონებელს ქანდაკებას ვუდგამთ და მას უხვი და საპატიო ძღვენით ვაჯილდოვებთ. ამ ქანდაკებათაგან ზოგიერთი თითბერისაა, ზოგი მარმარილოსა და სალესი ქვისა, ზოგი კედარისა და სხვა მოვარაყებულნი და შემკობილი სპეციალური

* ბერის ქანდაკებაც არის, რომელმაც ქვემეხი და დენთი გამოიგონა – იგულისხმება XIV საუკუნეში მოღვაწე ალქიმოკოსი და ფრანცისკანელი ბერი ბერთოლდ შვარცი. XV-XIX საუკუნეების ევროპულ საისტორიო და მხატვრულ მწერლობაში იგი ხშირად მოიხსენიება, როგორც დენთისა და ქვემეხის გამოგონებელი (მთარგმ. შენიშვნა).

ხისა, ზოგიც რკინის, ვერცხლისა და ოქროსი.“

„გვაქვს საგანგებო ჰიმნები და მსახურებები, რომლებსაც ყოველდღიურად ვასრულებთ, რათა მაღლობა შევწიროთ ღმერთს მისი შესან-იშნავი საქმეებისათვის. ასევე ვატარებთ ლოც-ვით რიტუალებს, რომლითაც ვევედრებით მას, მონყალება და კურთხევა მოიღოს, გაანათლოს ჩვენი საქმენი და კეთილი და წმინდა მიზნების-კენ წარმართოს ისინი.“

„დაბოლოს, ჩვენ შემოვივლით ან ვსტუმ-რობთ ხოლმე ჩვენი სამეფოს სხვადასხვა მთა-ვარ ქალაქებს; სადაც ვაქვეყნებთ იმ სასარგე-ბლო გამოგონებებს, რომლებსაც საჭიროდ მი-ვიჩნევთ. აქვე ვაცხადებთ ჩვენს პროგნოზებს დაავადებების, შავი ჭირის, მავნე არსებათა შემოსევის, მოუსავლიანობის, ქარიშხლების, მიწისძვრების, დატბორვის, კომეტების, წლის განმავლობაში მოსალოდნელი ამინდების და სხვა მრავალი რამის შესახებ; ამავდროულად, ვაძლევთ რჩევებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად და აღ-მოსაფხვრელად.“

საუბარს რომ მორჩა, იგი წამოდგა. მე კი, დარიგებისამებრ, დავიჩოქე; მან თავისი მარ-ჯვენა თავზე დამადო და თქვა: „ღმერთმა და-გლოცოს, შვილო ჩემო, და ღმერთმა აკურთხოს ჩემი ეს ნაამბობი. ნებას გაძლევ, საქვეყნოდ გადმოსცე ის სხვა ერების საკეთილდღეოდ, რადგან ჩვენ ვართ ღმერთის ნიაღში, ყველა-

სათვის უცნობ მიწაზე.“ ამის თქმა იყო და დამტოვა; მე და ჩემს მეგობრებს საჩუქრად გადამოგვცა დაახლოებით 2000 დუკატი,* ვინაიდან ისინი გულუხვ საჩუქრებს გასცემენ ყველგან, სადაც კი მიდიან.

* დუკატი - ოქროს მონეტა, რომელიც ადრე ევროპულ ქვეყნებში იყო გავრცელებული (მთარგმ. შენიშენა).

გიორგი ხუროშვილი

ფრანსის ბეკონის „ახალი ატლანტიდა“-ს გაგვიხსათვის

ისტორიაში იშვიათად მომხდარა ისე, რომ შორეულ წარსულში ნააზრევი და ნაფიქრი მომავალში თითქმის ზედმინვნით ასრულებულიყო. ფრენსის ბეკონის (1561-1626 წწ.) ნაშრომები, განსაკუთრებით კი მისი „ახალი ატლანტიდა“, ამგვარ იშვიათ შემთხვევათაგან ერთ-ერთია. ამ მცირე მოცულობის ტექსტში, რომელიც თითქმის ოთხასი წლისაა, მკითხველი ერთდროულად შეხვდება აღწერებს გენური ინჟინერიის, წყალქვეშა ხომალდების, კავშირგაბმულობის და სხვა ისეთი ტექნოლოგიების შესახებ, რომელთა გამოჩენასაც საუკუნეები დასჭირდა. ფრენსის ბეკონმა „ახალი ატლანტიდა“ დაწერა 1624/5 წლებში, მას შემდეგ, რაც მისი ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით აღსავსე პოლიტიკური მოღვაწეობა საბოლოოდ დასრულდა და იგი ინგლისის ლორდ კანცლერის თანამდებობიდან გადააყენეს. თუმცა, ეს ტექსტი მხოლოდ ბეკონის სიკვდილის შემდეგ გახდა ცნობილი, როდესაც 1627 წელს მისმა პირადმა მდივანმა უილიამ როულიმ პირველად გამოსცა „ახალი ატლანტიდა“. ამ გამოცე-

მის შესავალში როული წერდა, რომ ბეკონის განზრახვა იყო, ჩამოეყალიბებინა საუკეთესო კანონთა სისტემა და სახელმწიფოს მოდელი, მაგრამ ამის განხორციელება ვერ მოასწრო.* ამდენად, „ახალი ატლანტიდა“-ს პირველ გამოცემას თან ერთვის როულის შენიშვნა, რომ ნაშრომი დაუსრულებელია. მიუხედავად ამისა, მიიჩნევა, რომ ეს ნაშრომი ფრენსის ბეკონის ძირითად სათქმელს ნათლად გადმოსცემს, და რომ, შესაძლოა, ავტორს ის თავიდანვე ამგვარად ჰქონდა ჩაფიქრებული.**

„ახალი ატლანტიდა“ უტოპიური ჟანრის თხზულებაა, სადაც ფიქცია წარმოდგენილია როგორც სინამდვილე. ბეკონი ევროპელი მოგზაურების ამბავს ჰყვება. ისინი აღმოჩნდებიან უცნობ კუნძულ ბენსალემზე, სადაც სახლობს უძველესი, მაგრამ, ამავედროულად, განვითარებული ცივილიზაცია, რომელიც ორ მთავარ საყრდენზე – მეცნიერულ ცოდნასა და ქრისტიანულ რწმენაზე – დგას. თუმცა, ტექსტიდან ცხადად ჩანს, რომ ამ კუნძულზე მეცნიერების როლი უფრო დიდია. ბენსალემის ცხოვრებას წარმართავს სამეცნიერო დაწესებულება –

* იხ. B. Vickers (ed.), *Francis Bacon*, Oxford University Press, 1996, გვ. 785.

** იხ. J. Weinberger (ed.), *New Atlantis and The Great Instauration*, Harlan Davidson, 1980, გვ. xii-xiii; R. K. Faulkner, *Francis Bacon and the Project of Progress*, Rowman & Littlefield Publishers, 1993, გვ. 234.

სოლომონის სახლი. ამ ცივილიზაციის ყველა მიღწევა სწორედ აღნიშნული სამეცნიერო დაწესებულების დამსახურებაა. ქრისტიანობა კუნძულზე სასწაულის მეშვეობით, ღვთაებრივი გამოცხადების გზით შემოდის, თუმცა, ამ მოვლენის ღვთაებრივი ბუნების გამოცნობა, მეცნიერული დაკვირვების მეშვეობით ხდება. ბენსალემზე სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის ადამიანები ცხოვრობენ, რომლებიც ერთმანეთთან ჰარმონიულ ურთიერთობაში არიან. როგორც ტექსტიდან ირკვევა, ბენსალემს პოლიტიკური მმართველებიც ჰყავს, თუმცა, მასშტაბური მეცნიერული და ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე, რომელსაც სოლომონის სახლი უზრუნველყოფს, სახელისუფლებო ინსტიტუტები მეორე პლანზეა გადასული და მათ, ძირითადად, სამეურვეო დანიშნულება აქვთ, სახელმწიფოს განვითარების ძირითად გეზს კი სამეცნიერო დაწესებულება განსაზღვრავს. ბენსალემელთა ნეს-ჩვეულებები ბუნების კანონებისა და ქრისტიანული მოძღვრების ერთგვარი ნაზავია. მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად ისინი სიღრმისეულად იცნობენ ბუნებას და ამ ცოდნას ჰარმონიულად უთავსებენ ქრისტიანობის მორალურ სწავლებებს, რომელთა შესახებაც მათ ასევე საფუძვლიანი ცოდნა აქვთ.

ფრენსის ბეკონი ევროპული „სამეცნიერო რევოლუციის“ ერთ-ერთი შემოქმედი. მან შეი-

მუშავა ორიგინალური „მეცნიერული მეთოდი“, რომელიც ემპირიზმის, ექსპერიმენტისა და ინდუქციური მსჯელობის გზით მიზნად ისახავს მეცნიერული ჭეშმარიტების დადგენას. ამით იგი უარყოფდა დედუქციური აზროვნების ყველა ფორმას, მათ შორის მეტაფიზიკასა და არისტოტელეს ლოგიკას და მიიჩნევდა, რომ მეცნიერების განვითარების გეზს ძველი მოაზროვნების ნაშრომები არ უნდა განსაზღვრავდეს, ხოლო ცოდნისაკენ სწრაფვა ახალი, უფრო უკეთ ორგანიზებული გზით უნდა მიმდინარეობდეს. მისი ინდუქციური მიდგომა გულისხმობდა ბუნებაზე საგულდაგულო დაკვირვების წარმოებას და მიღებული მონაცემების სისტემურ დამუშავებასა და დასახსვრას. ამგვარად, ბეკონმა ევროპაში ფილოსოფიისა და მეცნიერების განვითარების ახალი მიმართულება დასახა, რის შედეგადაც ცდაზე დაფუძნებულმა ცოდნამ ყველა სხვა სახის ცოდნასთან მიმართებით დიდი უპირატესობა მოიპოვა. ამიერიდან, მისი მეთოდის მიმდევარი ბუნების ფილოსოფოსები თავიანთ მსჯელობას, ყველგასული მითების ნაცვლად, მეცნიერულად შემოწმებად ფაქტებზე დაყრდნობით წარმართავდნენ.^{***} ის ტექნოლოგიები, მეთოდები და ინსტრუმენტები, რომლებსაც „ახალ ატლანტიდაში“ სამეცნიერო დაწესებულება

^{***} M. Perry, *Western Civilization, A Brief History*. 4th ed. Volume 2. Houghton Mifflin CO, 2001, გვ. 549.

– სოლომონის სახლი – ფლობს და იყენებს, ბეკონს აღწერილი აქვს თავის სხვადასხვა ადრეულ ნაშრომებში. ამგვარად, ეს თხზულება ერთგვარი შემაჯამებელი მძლეობაა იმის ჩვენებისა, თუ როგორ შეიძლება მეცნიერულმა პროგრესმა გააუმჯობესოს ადამიანის ყოფითი და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება.

„ახალი ატლანტიდა“ შემთხვევითი სათაური არ არის. ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი თავის დიალოგებში „ტიმეოსი“ და „კრიტონი“ აღწერდა ფიქციურ კუნძულ ატლანტიდას, როგორც იდეალური სახელმწიფოს მოდელს, რომელიც მოგვიანებით ბუნებრივი კატაკლიზმის შედეგად განადგურდა. ბეკონის „ახალი ატლანტიდა“ პლატონისეული ატლანტიდის სანაცვლოა, რომელმაც ჟამთასვლას გაუძლო, ძველი სამყაროს შესახებ ცოდნა შემოინახა, კიდევ უფრო განვითარდა და მეცნიერების მეშვეობით, ახალ დროში, საუკეთესო სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას დაუდო სათავე.

პირთა საძიებელი

აბრაამი ბიბლ. 52, 54	ნოე ბიბლ. 37, 52
ადამი ბიბლ. 52, 60	პავლე მოციქული ბიბლ. 27
არისტოტელე 90	პლატონი 34, 91
ბართლომე ბიბლ. 27-28	როული, უ. 87-88
ბეკონი, ფ. 87-91	ქრისტეფორე კოლუმბი 83
ბერთოლდ შვარცი 84	ხუროშვილი, გ. 37
ევა ბიბლ. 60	ჰერაკლე მით. 33
ელია ბიბლ. 54, 59	Bacon, F. 88
იესო ქრისტე 13, 27, 53-54	Faulkner, R. K. 88
იონა ბიბლ. 18	Perry, M. 90
ლოტი ბიბლ. 58	Vickers, B. 88
მოსე ბიბლ. 54	Weinberger, J. 88
მორი, თ. 59	
ნაქორი ბიბლ. 54	
ნეტუნე მით. 34	

გრიგოლ როგაჰიძის სახელობის უნივერსიტატი ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი გამოცემული სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა:

I. სამეცნიერო სერია

„ფილოსოფია, სოციოლოგია, მედიის თეორია“:

- ტ. 1: ნიცშე საქართველოში. ეძღვნება თამაზ ზუაჩიძის ნათელ ხსოვნას, რედაქტორ-შემდგენი: თენგიზ ირემაძე, გამომცემლობა „არხე“, თბილისი, 2007, 246 გვ.
- ტ. 2: ფილოსოფია – დიალექტიკა – ლოგიკა. საველ წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, რედაქტორ-შემდგენელი: ლალი ზაქარაძე და თენგიზ ირემაძე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2008, 200 გვ.
- ტ. 3: სიცოცხლის ფილოსოფია. პრობლემები და პერსპექტივები, რედაქტორ-შემდგენელი: ლალი ზაქარაძე და მიხეილ გოგატიშვილი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2009, 88 გვ.
- ტ. 4: ლალი ანთიძე: ნიკოლოზ ლოსკის ინტუიტივიზმი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 244 გვ.
- ტ. 5: **Philosophy in Global Change. Jubilee volume dedicated to the 65th anniversary of Burkhard Mojsisch.** Edited by Tengiz Iremadze in collaboration with Helmut Schneider and Klaus J. Schmidt, Publishing House “Nekeri”, Tbilisi 2011, 436 pp.
- ტ. 6: აღმოსავლეთი და დასავლეთი. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები. რედაქტორ-შემდგენლები: თენგიზ ირემაძე და გურამ თევზაძე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2012, 226 გვ.

- ტ. 7: ბერნჰარდ ვალდენფელსი: გზები ფენომენოლოგიისა, პასუხს რომ იძლევა, ფრანგულიდან ქართულად თარგმნა დოდო ლაბუჩიძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2013, 120 გვ.
- ტ. 8: გიორგი თავაძე: ფილოსოფიური გეოგრაფია. ისტორია, პრობლემები, პერსპექტივები, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2016, 360 გვ.

II. სამეცნიერო სერია

„ფილოსოფია და სოციალური მეცნიერებები დღეს“:

თენგიზ ირემაძე: ვალტერ ბენიამინი. ცხოვრება, მოღვაწეობა, აქტუალობა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2008, 108 გვ.

Tengiz Iremadze: Der Atheiologische Realismus. Schatwa Nuzubidse und seine neuen Denkansätze, “Nekeri”, Tbilisi, 2008, 117 S.

ბურკჰარდ მოიზიში: ჰუმანიზმის ეპისტემოლოგია, ინგლისურიდან ქართულად თარგმნა გიორგი ბარამიძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2009, 90 გვ.

შელმუტ შნაიდერი: ფილოსოფიური გეოგრაფია, გერმანულიდან ქართულად თარგმნა გიორგი თავაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 120 გვ.

უდო რაინჰოლდ იეკი: განაზრებანი ქართული ფილოსოფიის შესახებ, გერმანულ და ქართულ ენებზე, გერმანულიდან ქართულად თარგმნა ლალი ზაქარაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 88 გვ.

შელმუტ შნაიდერი, ლალი ზაქარაძე, გიორგი თავაძე, დოდო ლაბუჩიძე, თენგიზ ირემაძე: რა არის თავისუფლება? დიდი მოაზროვნეები თავისუფლების არსის

შესახებ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 144 გვ.

ერიკოლ რობაქიძე და თანამედროვე აზროვნება, რედაქტორ-შემდგენლები: მამუკა თავხელიძე, თენგიზ ირემაძე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2011, 144 გვ.

ევროპული პასუხისმგებლობა. მერაბ მამარდაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (14 დეკემბერი, 2010 წელი, თბილისი), მთავარი რედაქტორი: თენგიზ ირემაძე, რედაქტორები: ლალი ზაქარაძე, დოდო ლაბუჩიძე, გიორგი ბარამიძე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2011, 224 გვ.

უდო რაინჰოლდ იეკი: განაზრებანი ქართული ფილოსოფიის შესახებ, გერმანულ და ქართულ ენებზე, გერმანულიდან ქართულად თარგმნა ლალი ზაქარაძემ, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2012, 92 გვ.

ევროპული პასუხისმგებლობა. მერაბ მამარდაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (14 დეკემბერი, 2010 წელი, თბილისი), მთავარი რედაქტორი: თენგიზ ირემაძე, რედაქტორები: ლალი ზაქარაძე, დოდო ლაბუჩიძე, გიორგი ბარამიძე, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2013, 226 გვ.

შელმუტ შნაიდერი, ლალი ზაქარაძე, გიორგი თავაძე, დოდო ლაბუჩიძე, თენგიზ ირემაძე: რა არის თავისუფლება? დიდი მოაზროვნეები თავისუფლების არსის შესახებ, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2013, 148 გვ.

თენგიზ ირემაძე: ალეთიოლოგიური რეალიზმი. შალვა ნუცუბიძე და მისი აზროვნების ახლებური საწყისები,

გერმანულიდან ქართულად თარგმნა გიორგი თავაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2013, 118 გვ.

გიორგი თავაძე: შატილი ფილოსოფიური გეოგრაფიის პერსპექტივიდან, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2013, 240 გვ.

თენგიზ ირემაძე, პელმუტ შნაიდერი, გიორგი ხუროშვილი, ლალი ზაქარაძე, მიხეილ გოგატიშვილი, გიორგი თავაძე: ფილოსოფიური ურბანისტიკა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2014, 160 გვ.

თენგიზ ირემაძე, ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფია და მისი გაგების პერსპექტივები, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2015, 124 გვ.

III. სამეცნიერო-მთარგმნელობითი სერია „ფილოსოფია-სოციოლოგიის კლასიკური და თანამედროვე ტექსტები. თარგმანები“:

- ტ. 1: **ნიკლას ლუმანი: საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედია, გერმანულიდან თარგმნა დევი დუმბაძემ, გამომცემლობა „არხე“, თბილისი, 2007, 37 გვ.**
- ტ. 2: **ანრი ბერგსონი: ცნობიერება და სიცოცხლე, ფრანგულიდან თარგმნა დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ, გამომცემლობა „არხე“, თბილისი, 2007, 44 გვ.**
- ტ. 3: **კარლ შმიტ: ხმელეთი და ზღვა. მსოფლიო-ისტორიული განაზრება, გერმანულიდან თარგმნა გიორგი თავაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 180 გვ.**
- ტ. 4: **ჰანა არენდტ: რა არის ხელისუფლება? ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ხუროშვილმა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2015, 150 გვ.**

- ტ. 5: **ფრენსის ბეკონი: ახალი ატლანტიდა. ქართულად თარგმნა გიორგი ხუროშვილმა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2016, 100 გვ.**

IV. ფრიდრიხ ნიცშეს რჩეული თხზულებები ქართულ ენაზე (აკადემიურ-კრიტიკული გამოცემა):

- ტ. 1: **ფრიდრიხ ნიცშე: Ecce homo. როგორ ხდება ადამიანის, რაც ის არის, გერმანულიდან თარგმნა, შენიშვნები და გამოკვლევა დაურთო გიორგი თავაძემ, ტომის რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2011, 248 გვ.**

გამოსაცემად მზადაა:

- ტ. 2: **ფრიდრიხ ნიცშე: კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით, გერმანულიდან თარგმნა გიორგი თავაძემ, ტომის რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე.**

V. ინსტიტუტის ცალკეული გამოცემები:

ფილოსოფია, სოციოლოგია, პოლიტოლოგია, რედაქტორ-შემდგენლები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, გიორგი ბარამიძე, მიხეილ გოგატიშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2007, 80 გვ.

ქართული აზროვნება, განათლების პრობლემები, შუპანიზმის ეპისტემოლოგია, რედაქტორ-შემდგენლები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, გიორგი ბარამიძე, მიხეილ გოგატიშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008, 76 გვ.

ალექსანდრე შამილტონი, ჯეიმს მედისონი, ჯონ ჯეი: ფედერალისტი. პოლიტიკური ესეები, ინგლისურიდან ქართულად თარგმნა გიორგი ბარამიძემ, სამეცნიერო რედაქტორი: მიხეილ გოგატიშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008, 584 გვ.

საზოგადოება, ცოდნის ტრანსფორმაცია, ფილოსოფია, რედაქტორ-შემდგენლები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, გიორგი ბარამიძე, მიხეილ გოგატიშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, 96 გვ.

G. Baramidze, M. Gogatishvili, L. Zakaradze, U. R. Jeck, D. J. Lacey (eds), (Neo)Platonism and Modernity. Materials of the International Conference dedicated to Tengiz Iremadze's book „Konzeptionen des Denkens im Neuplatonismus“, June 30, 2008, Publishing House „Nekeri“, Tbilisi 2009, 136 pp.

ახალი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები ფილოსოფიაში, რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, მიხეილ გოგატიშვილი, დოდო ლაბუჩიძე, გიორგი თავაძე, თბილისი, 2010, 50 გვ.

ალექსის დე ტოკვილი: დემოკრატია ამერიკაში, ფრანგულიდან თარგმნა დოდო ლაბუჩიძემ, წინათქმა დაურთო თენგიზ ირემაძემ, სამეცნიერო რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, გიორგი თავაძე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011, 592 გვ.

ლეო შტრაუსი: რა არის პოლიტიკური ფილოსოფია? ინგლისურიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო გიორგი ხუროშვილმა, რედაქტორები: მიხეილ გოგატიშვილი, გიორგი ბარამიძე, თენგიზ ირემაძე, გამომცემლობა „საუნჯე“, თბილისი, 2011, 130 გვ.

თომას პეინი: სალი აზრი, ინგლისურიდან თარგმნა გიორგი თავაძემ, წინათქმა დაურთო თენგიზ ირემაძემ, სამეცნიერო რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, დოდო ლაბუჩიძე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2012, 146 გვ.

ბერჯამინ ფრანკლინი, ჯონ ადამსი, თომას ჯეფერსონი, ჯეიმს უილსონი, ბენჯამინ რაში: ამერიკელ განმანათლებელთა პოლიტიკური ესეები. ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ხუროშვილმა. რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, გიორგი თავაძე. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 180 გვ.

ლეო შტრაუსი: იერუსალიმი და ათენი. შესავალი განაზრებანი, ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ხუროშვილმა. სამეცნიერო რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, მიხეილ გოგატიშვილი, გიორგი თავაძე. გამომცემლობა „საუნჯე“, თბილისი, 2013, 112 გვ.

თენგიზ ირემაძე: ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზავასაყარზე. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები, სამეცნიერო რედაქტორები: გიორგი ბარამიძე, ლალი ზაქარაძე, უდო რაინჰოლდ იეკი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2013, 170 გვ.

ჯონ დიუი: თავისუფლება და კულტურა, ინგლისურიდან თარგმნა გიორგი თავაძემ. სამეცნიერო რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2014, 184 გვ.